MES 9 23 0000683444

13/06/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.05.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:07
სხდომის დასრულების დრო: 20:48
სხდომის თავმჯდომარე: თამარ ზარანდია (I)
სხდომის თავჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (II-VII)
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	გიორგი მახარაშვილი		კავკასიის მედიცინის და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი	
3	მაია ადვაძე	შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	I I
4	მაია ჯიქია		პროგრამის ხელმძღვანელი	
5	ნონა ზუმბაძე			

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
6	ნუგზარ წერეთელი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დეკანი	I I I
7	თამარ ცინცაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
8	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
9	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
10	ოთარ გელაშვილი		დეკანი	IV
11	ავთანდილ შარვაშიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
12	ნია ნათბილაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	
14	ნათია ბუთხუზი		სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	
15	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	V
16	ნინო ჯავახიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
17	თინათინ ჭინჭარაული		პროგრამის ხელმძღვანელი	
18	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
19	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
20	ირაკლი კორძაია		დეკანი	

21	როსტომ ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VI
22	პაატა ჩაგანავა		პროგრამის ხელმძღვანელი	
23	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
24	სალომე დუნდუა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	VII
25	იაგო კაჭკაჭიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	
26	შოთა ფოთოლაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
27	რევაზ ჯორბენაძე		სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	

აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირინე ფხაკაძე	ჩაერთო „ზუმით“	I და III
2	ნინო კორსანტია	ჩაერთო „ზუმით“	II
3	ეკატერინე ბეშკენაძე	ჩაერთო „ზუმით“	
4	ცოტნე სამადაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
5	ქრისტინე ჩიხლაძე	ჩაერთო „ზუმით“	
6	გიორგი მღვდელაძე	ჩაერთო „ზუმით“	
7	ია ფანცულაია	ჩაერთო „ზუმით“	III
8	თამარ გვიანიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
9	მირანდა ნონიკაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
10	ფრიდონ გოგიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
11	მაია გრძელიძე	ჩაერთო „ზუმით“	
12	ნინო ჯოჯუა	ჩაერთო „ზუმით“	
13	დავით კაკიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
14	მზევარ გოგილავა	ჩაერთო „ზუმით“	
15	ლილი ხეჩუაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	V
16	ეკა გეგეშიძე	ჩაერთო „ზუმით“	VI
17	ეკა ლეკაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	
18	მიხეილ ბიჭია	ჩაერთო „ზუმით“	
19	სოსო გაზრდელიანი	ჩაერთო „ზუმით“	
20	ელენე გავაშელიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	VII

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" და "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" და "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1 საკითხი. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№380601, 12.04.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ირინა ფხაკაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ძირითად მიგნებებს. აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამასთან მიმართებით გაცემულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია პირველი რეკომენდაცია ეხებოდა, კომპეტენციათა რუკაში სასწავლო კურსების შედეგების სამ დონეზე განაწილებისა და განსაზღვრის საკითხს გადახედვას რათა ყოფილიყო ლოგიკური ბმა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებისა და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ გაზიარებულია სრულად, განხორცილებულია შესაბამისი ცვლილებები და წარმოდგენილია მტკიცებულებები. სასწავლო კომპონენტის შესაბამის სილაბუსებში დასტურდება სწავლის შედეგების ასახვა პროგრესის მიხედვით, რაც სამ დონეზეა გაწერილი და დაკმაყოფილებულია ის მოთხოვნა რაც ჩამოყალიბებული იყო პირველ რეკომენდაციაში. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა 2002, 2005, 2006, 2008 წლებში გამოცემული სავალდებულო ლიტერატურის განახლებას. დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ მათ მიერ განახლებულია, როგორც ელექტრონული წყაროები ასევე შესყიდულია უახლესი ლიტერატურა, რომელიც საჭიროა სამედიცინო სასწავლო კურსების განსახორიცლებლად. მე-2 რეკომენდაციაც სრულად არის შესრულებული. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მე-12 სემესტრში საკურსო მუშაობაში ჩართული მენტორების და სტუდენტების პასუხისმგებლობის, ხელმძღვანელობის წესების, შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად განსაზღვრას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სათანადოდ შემუშავებული და სათანადოდ დამტკიცებული დებულება საკურსო ნაშრომის მომზადების, დაცვის წესების განმსაზღვრელი პირობების შესახებ რომელიც დამტკიცებულია მედიცინის სკოლის საბჭოზე შემდგომ კი უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ. აღნიშნული დებულება სრულად მოიცავს და ფარავს საკურსო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციებს განსაზღვრულია დაცვის კომისიის შექმნის წესი, აღწერილია ნაშრომის წარდგენის და შეფასების პროცესი სრულად ამავდროულად იფარება შედეგების გასაჩივრების პროცესი. შესაბამისად რეკომენდაცია შეფასდა, როგოც სრულად გაზიარებული. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა კლინიკური ხელმძღვანელების როლის და ადგილის მკაფიოდ განსაზღვრას

პროგრამაში მათი ფუნქციების ჩათვლით. კლინიკური მენტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება დარგობრივი მახასიათებლებით, შესაბამისობის დონე რეგულარულად უნდა შემოწმდეს. ინსტიტუციის მიერ ამ მიმართულებითაც შემუშავებულია დოკუმენტი, მისი მიხედვით სტუდენტებს შორის კლინიკური კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრული და დარეგულირებული იქნება კლინიკაში მიმდინარე კლინიკური კომპონენტის სწავლების პროცესში მიმდინარე, აღნიშნული პროცესის განმახორციელებელილექტორების სუპერვაიზორების როლი მათი პასუხისმგებლობები და ფუნქციები. რეკომენდაცია გაზიარებულია და ცხადია აღნიშნული რეკომენდაცია და რეგულაციები, რომლებიც შემუშავებულია იქნება წინაპირობა აღნიშნული პროცესების სწორად პრაქტიკაში ინპლემენტაციის. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსებში ჩამოთვლილ სასწავლო მასალას:რეკომენდებული სახელმძღვანელოები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განახლებული,უახლესი გამოცემები იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით. აღნიშნული რეკომენდაციის დასაკმაყოფილებლადაც კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები: შესყიდვების და განახლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შეფასება შემდეგია: რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო კურსთან დაკავშირებით შემდეგი რეკომენდაციაა: პრაქტიკაზე ორიენტირებული პრეკლინიკურ საგნების დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში გაცილებით მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ ნაწილებზე, სასწავლო გეგმის განმავლობაში უნდა გაიზარდოს პრაქტიკული გამოცდების ხვედრითი წილი ტექნიკური კომპეტენციების, კლინიკური და კომუნიკაციური უნარების დემონსტრირების მიზნით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი ღონისძიებები სასწავლო კურსის სილაბუსებში ნამდვილად არის მითითებული განსაკუთრებით კლინიკური უნარების შეფასების თანამედროვე მეთოდები, როგორიც გახლავთ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. ასევე პრაქტიკულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება ე.წ DOPS-ი, ასევე შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია შესაბამისად რეკომენდაცია გაზიარებულია. ირინა ფხაკაძის თქმით, აღინიშნება ტექნიკური უზუსტობები რომელთა დაკავშირებითაც რჩევა იქნა გაცემული. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მე-12 სემესტრის განმავლობაში საკურსო ნაშრომის მომზადების პროცესში ჩართული პედაგოგებისა და სტუდენტების პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს შინაარსისა და ფორმატის მოთხოვნებთან და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებთან ერთად. აქაც მტკიცებულების სახით მოჰყავს ჯანდაცვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ დებულება, რომელიც ეხება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაში დამამთავრებელი მე-6 წლის საკურსო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესების შესახებ შემუშავებულ დებულებას. რომელიც ზუსტად განსაზღვრავს პროცესში ჩართული პირების პასუხისმგებლობებისა და ნაშრომის დაცვის ზუსტ წესებს. აღნიშნულით დასტურდება, რომ სრულად გათვალისწინებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. დამატებითი მოსაზრებები მისი მხრიდან არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:18 სთ
დასრულების დრო:14:20 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს კავკასიის უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

2 საკითხი. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (DMD)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დენტალური მედიცინა 0911
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N9 თბილისი 0144 საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო კორსანტია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ძირითადად ეხება სასწავლო საგნის სილაბუსების, როგორც შინაარს ასევე ტექნიკურ მხრეს. განსაკუთრებული შენიშვნა აქვს ინგლისურ და ქართულენაზე არსებული დოკუმენტების შესაბამისობაში მოყვანასთან, რადგანაც თარგმანი არ შეესაბამებოდა არსებულს. ქართულ და ინგლისურ დოკუმენტს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია შესაბამისად ეს საკითხი უნდა იქნეს გასწორებული. ასევე სილაბუსებთან ერთად თითოეული სასწავლო კურსი უნდა იყოს თავიდან ბოლომდე დასრულებული ვარიანტით. ის, რომ ვინმე სასწავლო კურსს პირველ სემესტრში და მეორე სემესტრში დაიწყებს ისე, რომ მე-6 და მე-7 ბოლომდე არ აქვს დასრულებული არ არის სწორი. რადგანაც ზუსტად იგივე რეკომენდაციებს აძლევენ სხვა სასწავლებლებს და უნივერსიტეტებს ექსპერტს მიაჩნია, რომ როდესაც ხდება სილაბუსის, სასწავლო პროგრამის ჩამოყალიბება უნდა იყოს გამზადებული ტესტი, კოლოკვიუმი და ა.შ. დასრულებული სახით, უნდა იყოს სასწავლო კურსები და სილაბუსები წარმოდგენილი აკრედიტაციისთვის. თუმცა დაწესებულებას პრობლემა მატერიალურ-ტექნიკური მხრივ არ აქვს და ნამდვილად მზად არიან პროგრამა დაიწყონ. რსებობს რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს გასწორებას. ეს საკითხები ეხება კონტიგენტს, განსაკუთრებით პროფესიული თვალსაზრისით გულისხმობს სტომატოლოგიის საგნების მასწავლებლებს, მოწვეულ პედაგოგებს თუ პროფესორებს. დასკვნაშიც მითითებულია, რომ ვიზიტის დროს გარკვეულმა პირებმა უარი განაცხადეს ინგლისურად კომუნიკაციაზე შესაბამისად ექსპერტებს არ აქვთ ინფორმაცია მათი ინგლისური ენის ცოდნის შესახებ, გარდა იმისა რა დოკუმენტაციაც იქნა გადმოგზავნილი. შესაბამისად გაუჩნდათ კითხვები. როდესაც ხდება ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია, სადაც ინგლისურ ენაზე ხდება ლექციების წაკითხვა, რამდენიმე წინადადებით ინგლისურად კომუნიკაცია პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ძირითადი რეკომენდაციები იყო სასწავლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსის სილაბუსებზე და მის შემადგენელ თითოეულ ნაწილზე და პრობლემური ნაწილები იკვეთებოდა ასევე თვითონ განმახორციელებელი პერსონალის ნაწილში. ხარისხის მიმართულებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არ აქვთ, მაგრამ კარგი იქნებოდა ხარისხის

სამსახურსაც შეემოწმებინა ის დოკუმენტაცია რასაც ექსპერტებისთვის აგზავნიდნენ შესაფასებლად,რაშიც გულისხმობს სილაბუსების თარგნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარი დაიწყო მე-2 რეკომენდაციით, კერძოდ: რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული მექანიზმი და დადგენილი სამიზნე ნიშნულები. ექსპერტები ამბობდნენ, რომ პროგრამის სამიზნე ნიშნულები არის მაღალი, გადაიხედოს ეს ყველაფერი და პირველი ეტაპისთვის შესაძლოა ეს ნიშნულები იყოს დაბალი. დაწესებულებამ გადახედა სამიზნე ნიშნულებს, პროგრამა ჯერ არ ხორციელდება და თუ აკრედიტაციას მიიღებენ სექტემბრიდან დაიწყება განხორცილება. თუმცა დადგენილი სამიზნე ნიშნულები შეამცირეს, ეს არ ნიშნავს იმას რომ პროგრამის განხორცილების დროს ეს არ გადაიხედება. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინეს. მე-4 რეკომენდაციაა:გასწორდეს სილაბუსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომები, შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე შედგენილი სილაბუსები. აღნიშნა, რომ პროგრამა დაიწერა ინგლისურ ენაზე შემდეგ კი მოახდინეს მისი თარგმანი, თარგმანი კი მოხდა თარჯიმნის მიერ. თქვა რომ არა უმეტესობა სილაბუსების არამედ იყო ნაწილი სილაბუსების, სადაც ნამდვილად იყო შინაარსობრივი შეცდომები. ეს მათ ნახეს, გაიზიარეს, გაასწორეს ვიზიტის დროს კი ეს გასწორებული ვარიანტი ჰქონდათ. თუმცა ექსპერტებმა და ცენტრის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ვერ გაიზიარებდნენ ამ ინფორმაციას, რადგან რაც წარდგენილი იცო ცენტრში მხოლოდ ამ სილაბუსებით უნდა ეხელმძღვანელათ. რომ შევაჯამოთ ვიზიტის დროს ეს შინაარსობრივი და ტექნიკური შეცდომები გასწორებული იყო. მე-8 რეკომენდაცია: რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს რამდენიმე უცხოენოვან პროგრამას, მას შემუშავებული აქვს პერსონალის მიღების წინაპირობები თუ უცხოენოვან პროგრამებზე კერძოდ ინგლისურენოვან პროგრამებზე რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. შეიძლება მას ჰქონდეს საერთაშორისო სერთიფიკატი, შეიძლება ჰქონდეს სხვა უნივერსიტეტში გამოცდილება საჭიროების შემთხვევაში ტარდება შესარჩევი ლექცია. როგორც ექსპერტმა აღნიშნა,ერთ-ერთმა პერსონალმა უარი განაცხადა ინგლისურად საუბარზე რაც მართლაც იყო როგორც თვითონ ეს პერსონალი ამბობს თუცა დაიბნა და სწორედ ამიტომ ვერ ისაუბრა ინგლისურად. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მექანიზმები არ აქვთ და პროგრამებს ისე ახორცილებენ, რომ ინგლისურენოვან პერსონალს ამ პროგრამებზე არ იღებენ. მე-9 რეკომენდაციაა რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ინფორმირებული პროგრამის შესახებ, იცნობდნენ შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს, სასწავლო და საგამოცდო პროცესს. აღნიშნა, რომ რადგანაც პროგრამა ახალია და ამ პროგრამაში პერსონალი სტომატოლოგიის მიმართულებით ძირითადად იყვნენ ახლები მიაწოდეს ინფორმაცია, დებულება სასწავლო პროცესის რეგულაციების შესახებ, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, საგამოცდო პროცესი და ა.შ. სადაც ძირითადად ჩართულნი იყვნენ პროგრამის და სილაბუსების შემუშავების პროცესში აგრეთვე ჩართულნი იყვნენ მედიკოსები, რადგანაც ახორცილებენ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამასაც ექსპერტებიც დაადასტურებენ, რომ ისინი ამ რეგულაციებს კარგად იცნობდნენ. თუმცა ეს არ გამორიცხვას იმას რომ მათთან მუშაობას არ აპირებენ. დაწესებულება ყოველი სემესტრის დასაწყისში ახალი და მოქმედი პროგრამებისთვისაც მუდმივად ატარებენ საორიენტაციო შეხვედრებს. სასწავლო და საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებით მუდმივად აწვდინა ინფორმაციას. მე-10 რეკომენდაცია: რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმების განსაზღვრის პროცესში. მედიცინის პროგრამაში ჩართული ლექტორები დადასტურებენ, რომ მუდმივად ატარებენ გამოკითხვას იღებენ უკუკავშირს რაც იმას ნიშნას რომ მუდმივად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში. ვინაიდან და რადგანაც სტომატოლოგიის მიმართულებით ახალი ლექტორები არიან ჩართულნი იტყოდნენ რომ არ იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში რადგან მათთან ჯერ არ ჩატარებულა გამოკითხვა იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ჯერ არ ხორციელდება. თუმცა ეს რეგულაციები საუნივერსიტეტოა და ყველა პროგრამისთვის არის ერთი და იგივე.

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კერძოდ, რეკომენდებულია, გაიწეროს/ჩამოყალიბდეს მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ. სპეციალიზაციის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იყოს რეალური, მიღწევადი და გაზომავდი. აღნიშნა, რომ მათ პროგრამაში ასახული უნარები ურთიერთ დაკავშირებულია ლოგიკურად ერთმანეთთან აქ უფრო პრაქტიკულ ნაწილზე იყო საუბარი რაც შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომ სტუდენტს გამოუმუშავოს არა მარტო მანუალური არამედ სხვადასხვა კლინიკური უნარები რაც აუცილებელია მომავალი ექიმისათვის. შედეგები წარმოდგენილია და მოიცავს სტომატოლოგიის დარგს კომპლექსურად, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის მიღებისათვის, ხოლო დეტალურად, კონკრეტულად გაწერილია სილაბუსებში რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს ამა თუ იმ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. მოიაზრება როგორც პროფილაქტიკის მკურნალობის ეტაპები, დიაგნოზირებასა და ა.შ. ყველა სტომატოლოგიის მიმართულება პაციენტის მკურნალობის შემდეგ. ის უნარები რასაც აფასებენ, კომუნიკაციის დიფერენციალური დიაგნოზის, კლინიკური აზროვნება და ა.შ. ფიქრობენ რომ მნიშვნელოვანია. ასევე ამ პროგრამის შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოხდა შედარება ამერიკის, თურქეთის, პოლონეთის და სხვა ანალოგიურ პროგრამებთან ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც არ არის რეკომენდირებული იყოს ბევრი სწავლის შედეგი და ოქროს წესად მიიჩნევა 10-მდე სწავლის შედეგი იყოს ჩამოყალიბებული. იქიდან გამომდინარე, რომ სტომატოლოგიის პროგრამის მარეგულირებელი დარგობრივი მახასიათებლები არ არსებობს შესაბამისად ფიქრობენ, რომ კონკრეტულად პაციენტზე ჩასატარებელი მანიპულაციების ვალდებულება არ აქვთ, რომ ასახონ პროგრამაში. აქედან გამომდინარე ზოგმა პერსონალმა შეიმუშავა და წარმოადგინა ის შედეგები მოცემული სახით.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ეცადნენ ზოგადი ნომინაციებით გაეწერათ სწავლის შედეგები რათა არ ყოფილიყო ბევრი. აქვთ 14 სწავლის შედეგი და ეცადნენ დიდად არ გასცდენოდნენ 10-ს. შესაძლო იყო უფრო დაწვრილებით გაწერაც, მაგრამ ეს ტავტოლოგიას გამოიწვევდა, გარკვეული ნომინაციების რამდენჯერმე გამეორება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით ინგლისურ სტილში ეს არაკორექტულად ითვლება, ამიტომ გადაწყვიტეს ზოგადი ნომინაციებით გაეწერათ. თუმცა ყველაფერი ჩაშლილია სილაბუსებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ასევე შემდეგ რეკომენდაციაზე, კერძოდ რეკომენდებულია გაიზარდოს სწავლა-სწავლების მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. ეს რეკომენდაცია ეხება, როგორც სწავლა სწავლების მეთოდების შემუშავებას, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას. თქვა რომ მათთან არის ინტეგრირებული ორი კლინიკური კურსი თერაპიისა და ქირურგიის მიმართულებით. სხვა სტომატოლოგიის მიმართულების სილაბუსებში არის წარმოდგენილი პაციენტების მიღება, აქედან გამომდინარე პაციენტების მიღება არის სავალდებულო, მათ მითითებული აქვთ რაოდენობა რომელსაც შეაფასებენ: მაგალითად ხუთი თერაპიულ სტომატოლოგიაში, ხუთი კლინიკურ სომატოლოგიაში და ა.შ. რომელიც გადის მკურნალობის შედეგზე. არ არის ნებაყოფლობითი ეს არის სავალდებულო.

დებულებაც აქვთ შემუშავებული თუ რომელი მანიპულაციების განხორციელების შემთხვევაში აქვს უფლება სტუდენტს პაციენტთან, არ აქვთ ბარიერი რაოდენობრივად თავისუფალია სტუდენტი პაციენტების მიღებაში. სწორედ ამ მანიპულაციების გათვალისწინებით. ასევეა მითითებული კონკრეტული რაოდენობა თუ რამდენს აფასებენ.
სოფიო ფუტურიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ისიც ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს უნარ-ჩვევების შესწავლას შესაბამისად ყველა მიმართულებით მაქსიმალურად ეცადნენ წარმოედგინათ დეტალიზებულად. თავისი შეფასების მეთოდებით იხელმძღვანელეს საკუთარი და კოლეგების გამოცდილებით, თავად აქტიურად არის ჩართული დარგობრივ საბჭოში, სადაც მიღებულ გადაწყვეტილებებს დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს თუმცა დღეს დღეობით შეეცადნენ მაქსიმალურად კარგად წარმოეჩინათ ის უნარ-ჩვევები, როგორც კლინიკური აზროვნების ასევე მანიპულაციების თვალსაზრისით, რაც მანუალურად სტუდენტმა უნდა შეასრულოს.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციაზე, სილაბუსებში დაკონკრეტდეს მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები, OSCE-ის საგამოცდო სადგურების გეგმა, ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე და ამ მანიპულაციების შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად, მითითებული იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება. გასწორდეს ბიბლიოგრაფია. თქვა, რომ მიმდინარე შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში ასევე მითითებულია ფანტომზე რა მანიპულაციებს ატარებენ სტუდენტები კონკრეტულად აქ მითითებულია პაციენტებზე რა მანიპულაციას ატარებენ სტუდენტები. თქვა, რომ კრიტერიუმები არის გაწერილი, რუბრიკებიც არის წარმოდგენილი, სადაც წარმოდგენილია ძირითადი ნომინაციების მიხედვით ხოლო დეტალიზებულია და ასახულია ასევე სილაბუსში და ამ სახითვე მიმდინარეობს შეფასება. ასევე მითითებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების კრიტერიუმები. რაც შეეხება OSCE საგამოცდო სადგურებს, მათ საბჭოს წევრებს ექსპერტებს მიაწოდეს დებულება, მიაწოდეს ნიმუში რომელშიც დეტალიზირებულად ჩაშლილია როგორ აკეთებენ შეფასებას. აღნიშნა, რომ მიაწოდეს ის საბუთები რაც მითითებული ჰქონდათ. რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, OSCE-ს საგამოცდო სადგურების გეგმით იყოს დასრულებული სახით. აგრეთვე აღნიშნა, რომ კრიტერიუმები აქვთ მითითებული, ასევე შეფასების კრიტერიუმებიც ასევე არსებობს შეფასების ფურცლები. თქვა რომ კალენდარული ცხრილით ჯერ არ აქვთ რადგან სწავლა ჯერ არ არის დაწყებული. რაც შეეხება ტიპურ ტესტებს და ღია კითხვებს არსებობს კითხვების ბანკი, რაც შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგალითად აქვთ თერაპიული სტომატოლოგიისთვისაც მზადდება და სხვა მიმართულებებითაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-3 და მე-5 საკითხი, რომელიც ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტებთან.
ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც ტექნიკურ საკითხებზეა საუბარი. ღნიშნა, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანია დოკუმენტების ქართული და ინგლისური ვერსიები ემთხვეოდეს ერთანეთს და ამისთვის თარჯიმანიც დაიქირავეს, თუმცა რამდენიმე შეცდომა მაინც გაიპარა, მაგრამ უკვე გაასწორეს. ფიქრობს, რომ ამას რეკომენდაციის სახე არ უნდა ჰქონდეს, რადგან რამდენიმე ტერმინი, რომელიც არასწორად იქნა თარგმნილი თარჯიმნის მიერ მაშინვე გასწორდა.
რეკომენდაცია მძიმე ხასიათის საკითხს წარმოადგენს ამიტომ ფიქრობს, რომ ტექნიკური სახითაც იგი სარეკომენდაციო საკითხს წარმოადგენს. აგრეთვე აღნიშნა, რომ ჰყვათ პერსონალის კატეგორია, რომელიც ახალია და ისეთი, რომელიც წლებია მუშაობს და ჩართულია საგანმანათლებლო პროცესებში. ყველას გაუგზავნეს ინსტრუქცია, რომ ენახათ, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რამდენი ქულაა გამოცდაზე სემინარზე და ა.შ. პრაქტიკაში ეს ზუსტად იცი მაშინ როდესაც ამას აკეთებ შესაბამისად გასაუბრების პროცესში ეს

გასაკვირი არ არის. იმ პროფესორისგან, რომელიც ახალია, პრაქტიკულად არ ჰქონია შეხება, მაგრამ თეორიულად იცის. იქრობს, რომ არასწორია თანაბრად მოსთხოვონ ყველას რა რამდენი ქულით ფასდება. თუ დიფერენციაციას მოახდენენ 8-ე და 10-ე რეკომენდაციის ამბობს, რომ ვინც უკვე განახორციელა მან ზუსტად იცის, მაგრამ ვინც ახალ მოსულია მან მხოლოდ თეორიულად იცის, მაგრამ შესაძლოა ზუსტი პასუხის გაცემა გაუჭირდეს. რაც შეეხება ტესტების და გამოცდების საკითხს მათ აქვთ დიჯიტალიზებული საგამოცდო პროცესი, თუ ადამიანი ლექციას კითხულობს 4-ე სემესტრში ვერ მოსთხოვენ ტესტი წარმოადგინონ ზუსტად, ფიქრობს რომ ეს არასერიოზული იქნება ახლა მოსთხოვონ ტესტები თუ რა მოუვათ გამოცდაზე. რადგან მედიცინა ძალიან სწრაფად ვითარდება შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო რა ტესტს მისცემს სტუდენტს 4 წლის შემდეგ. ზოგადად ჩაშლილი აქვთ, როგორი უნარების ტესტს მისცემენ, მაგრამ არა საკითხობრივად.
დაწესებულების წარმადგენელმა ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით კერძოდ: რეკომენდებულია გაიზარდოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით. მათ უწერიათ, რომ პაციენტთან კონტაქტი აქვს სტუდენტს და შეფასება მოხდება 5-ჯერ თერაპიულში, 5-ჯერ ქირურგიულში და სხვა მიმართულებებით მაგრამ ლოგიკურია, რომ შეფასება პირველივე დღიდან არ იწყება, სტუდენტი ჯერ პრაქტიკას გადის პაციენტთან. გარკვეული პრაქტიკული მეცადინეობების შემდეგ ხდება პედაგოგის მიერ ამ სტუდენტის შეფასება. პლუს ამას ნიშნული არ არსებობს. მოიძიეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სხვადასხვა დაწესებულებას რა რაოდენობის პაციენტებთან აქვთ შეხება, მათ კი აიღეს მაქსიმალური.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
ხათუნა თოდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დაუსვა კითხვა ექსპერტს და სთხოვა აეხსნა თუ რა იგულისხმებოდა ჩანაწერში არ აკმაყოფილებს სილაბუსებში შინაარსობრივი მხარე. მეორე შეკითხვა ეხება პაციენტებთან მუშაობას, მკურნალობას სუპერვაიზორთან ერთად, როგორც დაწესებულება აღნიშნავს მათ აქვთ გარკვეული მინიმალური მაჩვენებელი რომელიც არის სავალდებულო 5-5 პაციენტი. ექსპერტის პოზიცია, რომ კვლავ რეკომენდაციაში აესახა ეს გარემოება რითი აიხსნება . რაც შეეხება შეფასების მეთოდებს ისეთი მნიშვნელოვანი გამოცდები, როგორიც არის OSCE, ზედა კურსებში პროფილურ დისციპლინებში არის შეტანილი, დასვა შეკითხვა ჰქონდათ თუ არა შესაძლებლობა ენახათ ამ OSCE-ის სადგურების ჩამონათვალი, ჩექლისტები და ა.შ. ის ყველაფერი რაც უნდა იყოს გამზადებული იმისთვის, რომ ჩატარდეს შემდეგ OSCE-ის გამოცდები შესაბამისად იგივე ფანტომები და ა.შ. რაც შესაბამისობაში იქნებოდა ამ სადგურებთან.
ასევე კითხვა დასვა დაწესებულებასთან თუ როგორ გეგმავს იგი ინგლისური ენის გაუმჯობესებას პედაგოგების მხრიდან ან ვერიფიკაციას.
ნინო კორსანტიამ აღნიშნა, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს დაწესებულებას სხვა სილაბუსები აქვთ და თვითონ კი გაეცნენ სხვას. რადგანც იმ სილაბუსებში რაც მათ ჰქონდათ და გაეცნენ არ ჩანს კონკრეტულად პაციენტზე რა მანიპულაციების ჩატარება ხდება. როცა საუბარია სწავლის შედეგებზე, სწავლის შედეგების რაოდენობაზე კი არ აქვთ აქცენტი, არამედ სწავლის შედეგების შინაარსზე რადგან, როდესაც აღნიშნავენ რომ არის 14 სწავლის შედეგი და ამ 14-დან მხოლოდ 1-ია პრაქტიკული, რომელიც ძირითადად გადის კომუნიკაციაზე და დიაგნოსტიკაზე ეს არ არის ის სწავლის შედეგი, რომელიც უნდა ჰქონდეს ისეთ პროგრამას როგორიც არის სტომატოლოგია. მითუმეტეს, როდესაც დაწესებულებამ გადახედა ამერიკის, თურქეთის თუ საქართველოში მიმდინარე სხვა აკრედიტებულ პროგრამებს, იმ სწავლის შედეგებში ჭარბობს პრაქტიკული ნაწილი. სილაბუსებში ექსპერტმა საკუთარი მოსაზრება დაწერა სტანდარტებში უფრო ვრცლად არის სადაც მოყვანილია სილაბუსები თავისი სასწავლო კურსების მითითებითაც კი, სადაც ნამდვილად არ ჩანს პაციენტებზე განსახორციელებელი მანიპულაციების რაოდენობა, როდესაც მითითებული აქვს ნებაყოფლობითია თუ არა. დაწესებულებაში ვიზიტის დროსაც კი დაისვა კითხვა რამდენი სტომატოლოგიური ბორმანქანა

იქნება გამოყოფილი ონკრეტულად სტუდენტისთვის, პასუხი იყო ჯერ სტუდენტები მივიყვანოთ ამ ეტაპამდე და შემდეგ გადაწყდებაო. ესმის რომ ტესტების ბაზა იქნება, მაგრამ არა სტომატოლოგიის დარწმუნებულია, რადგან ჯერ სტომატოლოგიის კურსები არ გაუტარებიათ. ეს შეიძლება იყოს ბიოლოგია ქიმია თუ ანატომია, მაგრამ არა სტომატოლოგია შესაბამისად, როდესაც ვიზიტის დროს ეუბნებიან რომ ტესტები გამზადდება, რაც არის მომავალი დრო, რაღაც ტიპური ტესტები მაინც უნდა არსებობდეს, რომ იცოდეს დაახლოებით რა ტიპის ტესტები იქნება. ის რომ არ იციან 4-ე კურსზე რა უნდა ასწავლონ, ნამდვილად იციან რა უნდა ასწავლონ უბრალოდ შემდეგ მე-4 კურსზე შესაძლოა, რაღაც დეტალები შეიცვალოს, მაგრამ სილაბუსები უკვე მზად უნდა იყოს თავისი შინაარსით. ექსპერტმა ასევე უპასუხა ხათუნა თოდაძის კითხვებს შინაარსობრივ ნაწილში, თქვა რომ შეფასებაში თითქოს ქოფი-ფეისთით არის გადმოტანილ-გადატანილი ყველგან ერთი და იგივე პრინციპია. ყველგან ერთი და იგივე პრინციპით შეფასება ვერ მოხდება, როდესაც არის ქირურგია ან როდესაც არის თერაპია. არის ძალიან ზოგადი ფორმულირებაა, რა კეთდება ფანტომზე და რა კეთდება თერაპიაზე. აღნიშნა, რომ არ ჩანს ზუსტად რამდენ კარიესს გააკეთებს, ძირითადი ჩამონათვალია რა შეიძლება გააკეთოს მაგრამ სტუდენტმა შეიძლება გააკეთოს მარტო კონსულტაცია, არ ჩანს რამდენი კარიესი უნდა გააკეთოს რამდენი ანესთეზია და ა.შ. რაც შეეხება კითხვას იყო თუ არა OSCE სადგურები მზად თქვა, რომ არ იყო მზად, იყო მხოლოდ გეგმის და დებულების სახით გამოგზავნილი რა იგეგმება. შესაბამისად სადგურები არ ყოფილა და არ უნახიათ. თქვა კონკრეტულად თითოეულ სასწავლო კურსში, მაგალითად მესამე კურსი იქ შეიძლება იყოს ჩამონათვალი კომუნიკაცია, პრაქტიკული კურსი მაგრამ შიგნით რა პირობა და როგორ შეფასდება ეს არ იყო.

ანა ფირცხალაშვილმა უპასუხა ხათუნა თოდაძის კითხვას ინგლისური ენის დონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. თქვა, რომ ფორმალურად ეს ყველაფერი გამართული აქვთ, სერთიფიკატებს რასაც ითხოვენ ყველაფერი აქვთ და ეს შედეგი თვითონაც გაუკვირდათ. ამიტომ გადაწყვიტეს სატესტო ლექცია ჩაატარებინონ ყველას და სამომავლოდ, როდესაც ინგლისურენოვან პროგრამებს გააკეთებენ არ იქნება საკმარისი მხოლოდ ეს ფორმალური სერთიფიკატები და ამას დაამატებენ სატესტო საჯარო ლექციას. თქვა, რომ არასწორად გაიგეს მისი ნათქვამი, მას არ უთქვამს რომ არ იციან რა ასწავლონ 4 წლის შედეგ, თქვა რომ ყველანი პროფესორები არიან ისინი ხედავენ რა ასწავლონ მომდევნო სემესტრებისთვის, წინასწარ ადგენენ ტესტებს, ხედავენ სად არის სტუდენტების სუსტი წერტილი სად არიან კარგები რომ გამოცადონ. ტესტები კი ნელ-ნელა ივსება. რას შეეკითხებიან ეს შეიძლება არ იცოდნენ, მედიცინა რომ ვითარდება ასე სწრაფად შეიძლება სხვა კითხვა დაესვა დღეს და 3 წელიწადში სხვა კითხვას დასვამს სწორედ ამას გულისხმობს.

თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მას აინტერესებდა სტომატოლოგიის მიმართულება ქართულ ენაზე თუ არსებობს მათ უნივერსიტეტში.

რაზეც უპასუხეს რომ ქართულ ენაზე არ არის. ის რომ ამბობენ ქოფი ფეისთით არის გადმოტანილი ექსპერტების მხრიდან ეს უფრო კონკრეტულად უნდა იყოს დასახელებული, ასევე რომელ სილაბუსში რა არ აკმაყოფილებს.

თამარ სირაძემ თქვა, რომ მას აინტერესებდა სწორეს ეს იყო თუ არა ქართული ვერსია. გასაგებია რომ თარჯიმანმა დაუშვა შეცდომები თარგმნისას ესმის რომ ის არ იყო მედიკოსი ან სტომატოლოგი მაგრამ, შემდეგ მაინც აუცილებელი იქნებოდა გადაეხედათ. ჩვენ ვართ ქართულენოვანი დაწესებულებები, თუ პირდაპირ ვქმნით ინგლისურად მაშინ არ უნდა იყოს ისეთი შენიშვნები რაც უნდა გააჩნდეთ პერსონალთან, რადგან პერსონალი არის საკუთარი სილაბუსის შექმნელი. რადგან არის შეუსაბამობები ამიტომაც იქმნება გაუგებრობა.

სოფიო ფუტურიძემ ასევე დააზუსტა შეფასების ნაწილი თქვა რომ შეფასება ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ფასდება კონკრეტული მანიპულაციები ცაკლეულად რომელ ყბაზე ფასდება ესეც კი აქვთ დაკონკრეტებული შეფასების ნაწილში. მაგრამ მაგალითად თეორიული ნაწილი ტესტის შეფასება ღია კითხვის შეფასება აქ აკადემიური პერსონალი შეჯერებულია და აქვთ კონკრეტული მიმართულება, მაგრამ ცალკეული სილაბუსისი

შეფასების ნაწილი აქ დიდი განსხვავება პრაქტიკულ უნარებთან დაკავშირებით. ყველა სილაბუსში სხვადასხვა პრაქტიკული უნარის შეფასება აქვთ წარმოდეგნილი .
ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა თამარ სირაძის შეკითხვაზე პასუხი ჰქონდათ თუ არა ამ პროგრამის ქართული ვერსია. თქვა რომ ბაზრის კვლევა ჩაატარეს, ნახეს რომ ქართული პროგრამა რთული განსახორციელებელი იქნებოდა რადგან კერძო უნივერიტეტი არიან და მინიმუმ თვითკმარი უნდა იყოს პროგრამა ეს რომ განახორციელეონ ამიტომ პირდაპირ ინგლისურ ენაზე შემოიტანეს, როდესაც უკვე ექსპერტებმა უთხრეს თუ სად იყო ტერმინოლოგიური შეცდომები ეს მაშინვე გაასწორეს 20 წუთში ყველაფერი გასწორებული იყო.
ნათია ზედგინიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს პირველი კითხვა ეხება მე-2 რეკომენდაციას 2.1 ქვესტნდრტში სადაც საუბარია რომ სპეცილაიზაციის სასწავლო კურსი, სწავლის შედეგები იყოს რეალური რეალისტური გაზომვადი და მიღწევადი ითხოვა ამ ყვეალფერის მეტად დაკონკრეტება. საპირწონედ თქვა ერთ-ერთ რეკომენდაციაში საუბარია სილაბუსების გასწორებაზე, სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლაზე და ოსკის საგამოცდო საგდურებზე. ამ სამი რეკომენდაციის შესრულებას, იმ მოცემულობით და ფაქტებით რა დრო სჭირდება ან დასჭირდება ინსტიტუციას ეს ნაწილობრივი შეფასება იქნეს გასწორებული თუ ინსტიტუცია რეგულალურად იმუშავებს.
ექსპერტმა თქვა აქ საუბარია შემდეგ უნარებზე წარამრთოს მკურნალობა თანამედროვე სტომატოლოგიური მასალების, უახლესი გაიდლაინებისა და ტექნოლოიების გამოყენებით ყველა ასაკობრივ კატეგორიასა და სპეცილაური საჭიროების მქონე პაციენტებში და ეს არის ერთადერთი სწავლის შედეგი რომელიც არის პრაქტიკასთან დაკავშირებული თქვა, რომ როგორ შეიძლება გავიდეს ამ უნარზე ყველა სასწავლო კურსი როდესაც ჩამონათვალიც კი აქვს ორთოპედიული სტომატოლოგიის რვა კურსი, სტომატოლოგიურ დავადებათა პროფილაქტიკა, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიის სამი კურსი ესენი არ გადიან პრატიკას, გადიან მხოლოდ თერაპილული და ქირურგიული სტიმატოლოგია. ამიტომაც არის რეკომენდაცია იყოს გაზომვადი და რეალური თუ სასწავლო კურსისის ნაევარზე მეტი არ გადის ამ შედეგზე მაშინ თვითონ პროგრამა ვერ გავა ამ შედეგზე. შესაბამისად უნა იყოს დაკონკრეტებული რითი აპირებს ეს პროგრამა გასვლას. პროგრამას როდესაც სწავლის შედეგები ჩამოწერილი აქვთ უნდა იცოდნენ რომელი სასწავლო კურსით გავა ამ სწავლის შედეგზე. იმიტომ რომ სასწავლო კურსი მთლიანობაში არის პროგრამა.
ნათია ზედგინიძემ დასვა კითხვა 1.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტებთან როგორ ფიქრობს ექსპერტი ინსტიტუცია ამ რეკომენდაციის შესრულებას გონივრული ჯეროვანი მუშაობის შემთხვევაში რა დრო დაჭირდება.
ექსპერტმა თქვა, რომ ამ ქვესტანდარტში იყო ძალიან ბევრი შეცდომა, თუნდაც ტექნიკური, შინაარსობრივი ის ვერ იტვის რომ 10 წუთში გასწორებადი იყო ეს თარჯიმნული შეცდომები თვითონაც ყოფილა პროგრამის ხელმძღვანელი და 82 სილაბუსი თვითონაც ედო ხელში და ასწორებდა რადგან ეს იყო მისი ფუნქცია, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, რომ შესაბამისობაში იყოს როგორც ინგლისური ისე ქართული, როდესაც თარჯიმნიდან მოდის ეს ყველაფერი პირველ რიგში ინსტიტუციამ უნდა გადახედოს ამ ყველაფერს და შემდეგ გადმოაგზავნოს უკვე აკრედიტაციაზე. ჩამონათვალი იყო უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან სავალდებულო იყოს და არა ნებაყოფლობითი, უნდა იყოს გაწერილი ან დღიური უნდა არსებობდეს ან პორთფოლიო ამას გულისხმობს. თქვა რომ, ზოგ მოწვეულ პერსონალს წარმოდგენა არ ჰქონდა შეფასების მეთოდზე ზეპირად იყო გამოცდა, ოქსკი იყო თუ ტესტი უნდა დაეწერა. ყველაზე მეტი დარღვევა იყო სასწავლო კურსში ამიტომ შეფასდა როგოც ნაწილობრივი. თუ ინსტიტუცია ძალიან მოინდომებს 1 წელი მაქიმუმ საკამრისია რომ ყველაფერი გააკეთონ. ბაზების პრობლემა არ არის, თუ მათ ექნებათ სურვილი ისინი რეკომენდაციებს შეასრულებენ.

ნათია ზედგინიძემ თქვა, რომ დასკვნაში ხისტი ჩანაწერია რომ ჯერ დასრულებული არ არის სიმულაციური ცენტრი მაგრამ ინსტიტუციას თვითონვე აქვს არგუმენტირებულ პოზიციაში ამ ჩანაწერზე თავისი კომენტარი.
ექსპერტმა თქვა რომ შეცვალა და გამოაგზანა გასწორებული ვარიანტი. რეკომენდაციაში არ არის და ადგილზე ყოფნისასაც მიუთითა. არც რეკომენდაციაში და არც რჩევაში ინსფრასტრუქტრასთან დაკავშირებით არაფერი წერია.
დაწესებუების წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს პროგრამა დეკემბერში გააგზავნეს თუმცა ამისთვის საკმაო დრო ჰქონდათ. 17 მარტს იყვნენ ექსპერტები. სილაბუსების გასწორებული ვარიანტი ქართული ნათარგმნით ვიზიტის დროს ჰქონდათ, რაც განუცხადა ექსპერტებს და ცენტრის წარმომადგენლებს, საიდანაც მიიღეს პასუხი, რომ უკვე გასწორებულ ვარიანტს ვერ მიიღებდნენ რადგან იყო ვიზიტი. პროგრამა იყო ინგლისურენოვანი და სადაც ექსპერტი საუბრობს რომ სასწავლო კურსებში შედეგები იყო არასწორად შეეძოთ ინგლიურ სილაბუსებში ენახათ. რაც შეეხება დაანარჩენ ორ რეკომენდაციას თვითონ წერენ რომ რეკომენდირებულია გაიზარდოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ეს პრაქტიკუი უნარ-ჩვევბი არის სილაბუსში და თხოვეს რომ გაზარდოს ამის გარდა აქვთ მზაობა.
ნათია ზედგინიძემ თქვა, რომ როდესაც უსდ არის მაძიებლის სტატუსით, 15 დღის შემდეგ დოკუმენტების ჩანაცვლება ვერ მოხდება ეს არის პროცედურა. შესაბამისად ნებისმერი ქმედება ინსტიტუციის მიერ გამოსწორება იქნება, კორექტირება თუ ა.შ. პროცედურულად უკუ სვლა ვერ ექნება ამიტომ ექსპერტები ვერ მიიღებდენენ მხედევლობაში. სჯერა რომ დაწესეულეამ გააკეთა გასწორება მაგრამ საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დოკუმენტების მიღებისას იყო. თუმცა პატივს სცემენ რომ მზად არიან და გამოასწორეს ხარვეზები თარგმანთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა კითხვით მიმართა ექსპერტს თუ კონკრეტულად რომელ სილაბუსზეა საუბარი, სადაც არ არის მითითებული რაოდნობა და შეეფასება. თუნდაც ფანტომზე.
ექსპერტმა თქვა, ერთ-ერთზე მითითითებულია, რომ ეს კეთდება ფანტომზე და არა პაცინტზე, დასვა კითხვა რა კეთდება პაციენტზე. ფანტომზე რომ უნდა გაკეთდეს მაგაში ეთანხმება, რადაგნ ჯერ აქ უნდა გააკეთოს რომ შემდეგ ნება მისცეს პაციენტზე გააკეთოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:24 სთ
დასრულების დრო: 15:50 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2027) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიწეროს/ჩამოყალიბდეს მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ.
- რეკომენდებულია სპეციალიზაციის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები იყოს რეალური, მიღწევადი და გაზომვადი.
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შემუშავებული მექანიზმი და დადგენილი სამიზნე ნიშნულები.
- გასწორდეს სილაბუსებში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი შეცდომები, შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ და ქართულ ენებზე შედგენილი სილაბუსები, რადგან ორივე ვარიანტს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.
- გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო.
- სილაბუსებში დაკონკრეტდეს მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები, OSCE-ის საგამოცდო სადგურების გეგმა, დაკონკრეტდეს ჩასატარებელი მანიპულაციების ჩამონათვალი პაციენტებზე და ფანტომებზე და ჩატარებული მანიპულაციების შეფასება გაიწეროს უფრო დეტალურად. გასწორდეს ბიბლიოგრაფია.
- რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება, ჩართულობა პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, პაციენტებთან ინდივიდუალური და დამოუკიდებლად მუშაობა, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.
- გაიზარდოს სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტთან მუშაობა იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი.
- სტომატოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსებში, სადაც კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება, აუცილებელია პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტის დამატება/დაკონკრეტება. სილაბუსებში დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება პრაქტიკულ ნაწილში, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული ქულა რა აქტივობის მიღწევის შემდეგ მიიღება.
- აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსებით, კალენდარული ცხრილებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებით, ტიპური ტესტებითა და ღია კითხვებით, OSCE-ს საგამოცდო სადგურების გეგმით, იყოს დასრულებული სახით.
- რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად.
- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში.

- რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების, ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განსაზღვრის პროცესში.

რჩევები:

- სასურველია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება კონკრეტულად სტომატოლოგიის პროგრამასთან მიმართებაში, გაიზარდოს სტუდენთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო გაცვლით პროექტებში.
- სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ ბაზებზე პაციენტებისთვის სტუდენტებთან მკურნალობა იყოს შეძლებისდაგვარად იაფი და შეღავათიანი.
- სასურველია, თუ დასკვნითი გამოცდის გამსვლელი ქულა გაიზრდება და იქნება 50%+1-ზე მაღალი, 60% მაინც.
- სპეციალიზაციის გარკვეულ სასწავლო კურსებზე, სადაც ისწავლება პრაქტიკული უნარები, სასურველია დასკვნით გამოცდაზე გარდა თეორიული ცოდნისა შეფასდეს ასევე პრაქტიკული უნარებიც.
- ამ ეტაპზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაზე დაგეგმილი მისაღები სტუდენტების (21 სტუდენტი) რაოდენობასთან, თუმცა სტუდენტთა ზრდასთან ერთად სასურველია გაიზარდოს სტომატოლოგიის მიმართულებით აკადემიური პერსონალი პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის.

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს დოკუმენტების შინაარსობრივი თუ ტექნიკური გამართულობა და ამ მიზნით, შესაბამისი სამიზნე პირების სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობა.
- სასურველია, გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის გაუმჯობესებასთან მიმართებით.
- სასურველია პროგრამის სილაბუსებში ზუსტად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ.
- პერსონალური განვითარების გეგმა, რომელიც უსდ მიერ აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში და საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს, არ ხორციელდება ან ხორციელდება არა ყველასთვის, სასურველია ამ ხარვეზის გამოსწორებ.

3 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		№303281 30/03/2021

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი Master of Pharmacy
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 69, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 2, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. აგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, განაცხადა რომ ყველა სტანდარტი, გარდა პირველისა შეფასდა როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1-ლი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან. აღნიშნა, რომ ყველა კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები ერთმანეთს უკავშირდება. რეკომენდაციებში რაც აზრობრივად მეორდებოდა ეს არის კვლევის თანამედროვე მეთოდების სწავლება. ან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შედგებოდა კონცენტრაციებისაგან და კვლევის თანამედროვე მეთოდების სწავლებას ყველა არ ითვალისწინებდა. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურზე, როდესაც სამაგისტრო ნაშრომს ამზადებს სტუდენტი აუცილებელია შეისწავლოს ეს საგანი. გარდა ამისა კონცენტრაციების კრედიტების მოცულობა იყო დასაზუსტებელი საგანმანათლებლო პროგრამაში (ნაცვად 60-ისა უნდა იყოს 70) რაც გარკვეულწილად ტექნიკურს ხარვეზსაც უკავშირდებოდა, რადგან სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა ჩანაწერი იყო. ქსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე აღნიშნა, რომ წიგნადი ფორნდის განახლების მიუხედავად სილაბუსებში მაინც რჩება ძირითად და დამხმარე სახელმძღვანელოები ძველი გამოცემით, შესაბამისად რეკომენდირებულია განახლდეს ეს გამოცემები უახლესი გამოცემებით თუნდაც იგივე ავტორებით რომელსაც განახლებული ვერსიები აქვს. ასევე რეკომენდირებულია პროგრამის ინფრასტრუქტურისა და არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლება.

რეკომენდაციებზე საუბარი ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა გააგრძელა, აღნიშნა რომ მე-5 სტანდარტთა მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა წინა საბჭოს რეკომენდაციების შესრულებას. რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც გაიცა 2021 წელს ეხებოდა მატერიალური რესურსის სრულყოფას, . ან დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნამდვილად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ნაწილი მატერიალური რესურსის განახლდა და აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, ნაწილში კი გრძელდება სამუშაოები. აღნიშნული საკითხი დეტალურად აღწერილია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე დასტურდება კიდეც ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ პროგრამა იქნება უზრუნველყოფილი თავისი მატერიალური რესურსით. ისი განმარტებით, მეორე რეკომენდაცია, რომელის შესრულებასაც ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს უკავშირდება სწავლის შედეგების შეფასებას, დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტაცია რომელიც არის დამტკიცებული 2020 წელს, საბჭოს მიერ რეკომენდაცია კი 2021 წელს იყო გაცემული. განმეორებით პროგრამის შეფასება 2023 წელს მიმდინარეობს, შესაბამისად მათ მიერ არ იყო წარმოდგენილი ახალი დოკუმენტები, რომელიც რეკომენდაციის შესრულებას დაადასტურებდა. შესაბამისად ვერ დაადასტურებდნენ რომ რაღაც ახალი დოკუმენტი შემუშავდა, რომლითაც უფრო მკაფიო გახდებოდა სწავლის შედეგების შეფასება. . ზემოაღნიშნული რეკომენდაციის მიზანი იყო გამოირიცხოს სამაგისტრო ნაშრომების ურთიერთშეუსაბამობა. ამ ეტაპზე დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ყველა სამაგისტრო ნაშრომს ყავს ხელმძღვანელი, რეცენზენტი, კოლეგიალური წესით ხდება ნაშრომების დაცვა, არსებობს ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია, არსებობს ნაშრომის შეფასების ინსტრუქცია და ა.შ. ეს ნაწილი უზრუნველყოფილია, როგორც ექსპერტი ამბობს თუმცა ვერ დაადასტურებენ რომ რამე ახალი დოკუმენტი შემუშავდა რეკომენდაციის გაცემის შემდეგ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირინე ფხაკაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ პროგრამის შეფასება იყო კოლეგიალური, შეაფასდეს და ნახეს რომ პროგრამა ვითარდება, მაგრამ იყო მცირე ნაკლოვანებები რომლებიც დაფიქსირდა ექსპერტთა დასკვნაში და რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები, რომელზეც ჯგუფის სხვა წევრებმა უკვე ისაუბრეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, მამუკა მაისურაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. კერძოდ სამაგისტრო პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა პროგრამა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სწავლებას, რაც სწავლის შედეგების მიღწევას გახდის რეალისტურს. თქვა რომ პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში არის არაერთი სასწავლო კურსი რომელიც სწორედ სწავლის კვლევის მეთოდებს შეეხება ეს კურსებია ''ბიოეთიკა'', ტოქსიკოლოგიური ანალიზი“, „ფარმაკოგნისტური ანალიზი“, „ფარმაკოლოგია“, სწორედ თანამედროვე კვლევის მეთოდების სწავლებაზეა დაფუძნებული და ორიენტირებული სწორად ფარმაკოლოგიაში სწავლის და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე, შესაბამისად კვლევის მეთოდების შესწავლის შესახებ საკითხი ფართოდ არის წარმოდგენილი და უზრუნველყოფს კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისებას. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კონცენტრაციებში კრეტიტების რაოდენობას, განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც უკვე გათვალისწინებულია და გასწორებულია. მე-3 რეკომენდაცისთან დაკავშირებით, რომელიც სამაგისტრო პროგრამაში კვლევის დიზაინის, დაგეგმვის, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მიღებული შედეგების დამუშავების, კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების მომცველი კურსის სწავლებას ეხებობა. განმარტა, რომ აქაც ეს საკითხები სხვადასხვა სასწავლო კურსებში არის განაწილებული და შესაბამისად ეს ყველაფერი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. შემდეგ რეკომედაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დაშვების წინაპირობას, განმარტა რომ დაშვების წინაპირობები მოცემულია ფართოდ ამას გარდა მისაღები გამოცდაა დაწესებული ფარმაციაში, რაც წინა აკრედიტაციის დრო გაიცა და იქნა გათვალისწინებული. შესაბამიიდად რაიმე შეუსაბამობა დაშვების წინაპირობებსა და იმ კომპეტენციებს შორის რომელითაც იქნებიან აღჭურვილნი აბიტურიენტები და მოხვდებიან ამ პროგრამაზე წინააღმდეგობა არ იქნება. დაშვების წინაპირობა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სტუდენტების ჩარიცხვას ამ პროგრამაზე. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის, თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან და რომელი ბაზები შეესაბამება მათ სფეროს, რაც შესაძლოა მიღწეულ იქნას ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მუშაობის გაძლიერებით, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროების, მათი გამოყენების მნიშვნელობის, ციტირების წესების და ა.შ. შესახებ. თქვა რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა ინფორმირებულობის რამდენიმე არხი არსებობს, მათ შორის VICI-ის სისტემა პლათფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის როგორც პროგრამის, ასევე მისი სტრუქტურის სილაბუსების გაცნობას შესაფსების სისტემის გაცნობას, ამას გარდა ეს პლათფორმა შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს სხვადასხვა გამოკითხვა შექმნილია ჯგუფი, რომელიც ახდენს ანკეტების შედგენას და გაზიარებას სტუდენტებისთვის. სტუდენტს გააჩნია თავისი გვერდი “ვიცის” პლათფორმაზე აქ შესვლისას მას გარკვეული პერიოდულობით ხვდება ანკეტა, რომელსაც ავსებენ პლატფორმას აქვს შესაძლებლობა დაამუშაოს ეს ინფომრაცია მოახდინოს ინფორმაციის დახარისხება, ამოკრიფოს შესაბამისი ფაკულტეტის ან პროგრამის სტუდენტის მიერ გაკეთებული შეფასება, მოახდინოს მისი პირველადი ანალიზი და გადმოუგზავნოს შესაბამის პირებს დასკვნის გაკეთებისათვის. ამას გარდა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სამეცნიერო ბაზებით, თანამედროვე წიგნებით, ლიტერატურით. შესაბამისად სტუდენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი ინფორმირების თვალსაზრისით. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ბიბლიოთეკისა და სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების უახლოესი გამოცემებით განახლებას. ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროცესი მუდმივია და პერმანენტულად ხორციელდება. პროგრამის ხელმძღვანელობის, ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მხრიდან მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი სილაბუსებში ლიტერატურის განახლებაზე შესაბამისად იგეგმება ისახება და ხორციელდება ღონისძიებები. ლიტერატურის განახლება

მუდმივი პროცესია, როგორც ლაბორატორიული ბაზის განახლება. ხოლო ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავებას, განმარტა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედი მაგისტრატურის დებულების თანახმად სამაგისტრო ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატზე, ასევე მოწმდება საგამოცდო კოლეგიის მდივნის მხრიდან, გარდა ამისა იგი ექვემდებარება რეცენზირებას, ასევე წარმოსადგენია ხელმძღვანელის დასკვნა და ბოლოს კოლეგია განსაზღვრავს მის შესაბამისობას იმ სტანდარტებთან რაც წარდგენილია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებაზე ისე, რომ რაიმე გადაცდომა არ იყოს.

ქსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა დაამატა რომ მათი რეკომენდაცია არ იყო შემუშავდეს რომელიმე მარეგულირებლის წესი, ეს იყო 2021 წელს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია. 5.2-ში შეფასდა გარე შეფასების შესრულების შედეგები, სადაც საუბარია ძირითად მომენტზე. 2021 წელს სულ გაცემული იყო 10-11 რეკომენდაცია. შესრულებული არ არის ეს 2, პირველი მატერიალური რესურსის სრულად უზრუნველყოფა, რომელიც არის საბჭოს რეკომენდაცია, მეორე ამ დოკუმენტის შემუშავება, რაზეც ექსპერტები ვერ დაადასტურებენ რომ დოკუმენტი შემუშავდა, რადგან ქრონოლოგია შემდეგია: დოკუმნეტი შემუშავდა 2020წელს, 2021 წელს გაიცა რეკომენდაცია, ხოლო 2023 წელს იყვნენ ვიზიტზე რეაკრედიტაციის მიზნით.. ამ შუალედში დოკუმენტი არ არის შემუშავებული. ექსპერტების რეკომენდაცია იყო გარე შეფასების რეკომენდაციები იყოს შესრულებული. რაც შეეხება წინაპირობებს, ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელს რომ მაგისტრატურაში სწავლის ერთ-ერთი მიზანი არის სპეციალობის შექმნა, მაგრამ ფარმაცია სპეციფიკური პროგრამაა, ის მოითხოვს გარკვეული წინარე უნარების საჭიროებას, ლაბორატორიული უნარების და ა.შ. რაც ნაკლებად იქნება გამომუშავებული კურსდამთავრებულის 06-ში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიაში, 05-ში მათემატიკა და სტატისტიკა, 07-ში ინჟინერია წარმოება, ეს ლაბორატორიული უნარები რომელიც საჭიროა ფარმაციისთვის ისევე, როგორც ქიმიის პროგრამისთვის ვერ იქნება იმ დეტალური თუ ფართო სფეროს პროგრამების ფარგლებში მიღწეული რაც სჭირდება ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას. რეკომენდაციას სწორედ აქედან გამომდინარეობდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

აბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, არა მხოლოდ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ფარმაციის მიმართულების სამაგისტრო პროგრამას ასევე სჭირდება მთელი რიგი თეორიული დისციპლინების ცოდნა, რომლის გარეშეც ის უბრალოდ გამოცდას ვერ ჩააბარებს, სთხოვა დაეზუსტებინა პროგრამის ხელმძღვანელს რატომ ჩასვა ასეთი არა რელევანტური მიმართულებების დაშვების წინაპირობები, სადაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ან თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ შედმეგ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამაზე გააგრძელონ სრულფასოვანი სწავლა. კითხვა დასვა ასევე ექსპერტებთან მთელ რიგ რეკომენდაციებში ნახსენებია კვლევის თანამედროვე მეთოდები, მოეჩვენა რომ თითქოს დუბლირებაა სხვადასხვა რეკომენდაციაში. მაგალითად 1.2 კომპონენტში: საჭიროა პროგრამა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდებს“. 1.4-კომპონენტში: რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამაში კვლევის დიზაინის, დაგეგმვის, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მიღებული შედეგების დამუშავების, კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების მომცველი კურსის სწავლება. ხომ არ ითვალისწინებს პირევლი რეკომენდაცია მეორეს ან პირიქით,. ასევე კომპონენტ 3.2-ში: ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან, შთაბეჭდილება რჩება რომ შესაძლებელია გამეორება იყოს. ითხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ, ერთმანეთს ხომ არ იმეორებდნენ ეს რეკომენდაციები .

დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას,

ისაუბრა დაშვების წინაპირობებზე. მან განმარტა, რომ რამდენიმე პროგრამაზე მათ შორის გარემოს დაცვითი ინჟინერიაზე ფართო სფეროდან ამოღებული 05,06,07,08 ეს ჰქონდათ განსაზღვრული. გარემოს ინჟინეირიის ნაწილში ეს აბსოლოურად რელევანტური ფართო სფეროები იყო. ფარმაციის ნაწილში აუცილებლად საჭიროა უფრო ვიწრო მიმართულებები განსაზღვრონ, წინარე ცოდნა რომ მაქსიმალურად რელევანტური იყოს ფარმაციის სწავლის შედეგბის მისაღწევად. რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას აქ ორ მიმართულებაზე იყო საუბარი. ერთ-ერთი მიმართულება იყო სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით, რომ გარკვეული მარეგულირებებლი დოკუმენტები შეექმნა უნივერსიტეტს რომ პრობლემები რომლებიც წინა პერიოდის სამაგისტრო ნაშრომებს ჰქონდათ არ ყოფილიყო. ეთანხმეა ექსპერტებს რომ დოკუმენტი 2020 წელს შემუშავდა რეკომენდაცია კი 2021 წელს გაიცა. ამიტომ შეუძლებელია ქრონოლოგიური თვალსაზრისით ეს მოქმედებაში ჩაეთვალოთ. თქვა რომ მაგისტრატურის შესახებ დებულება მას შემდეგ იქნა დამუშავებული, რაც დაწერილი იყო აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნა ამ პროგრამაზე. მიუხედავად იმისა რომ მათ უკვე რეაგირება მოხდენილი აქვთ კანონმდებლობა არ აძლევთ შესაძლებლობას ის დებულება, რომელიც უკვე განახლებულია 2021 წლის დასაწყისში წარმოების პერიდში საბჭოს გაეთვალისწინებინა. აამუშავეს ხარისხის ჩამკეტი მექანიზმები ბევრი მიმართულებით, ერთი რომ დებულებაში არის ასახული ინფორმაცია თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სამაგისტრო ნაშრომი და რა კრიტერუმები გამოიყენება შეფასებისას. მეორეს მხრივ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა თვითონ სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს აღებული.

ნათია ზედგინიძმე დააზუსტა ე.ი 2021 წელს რეკომენდაციის გაცემამდე ჰქონდათ წარმოდგნილი 2020 წლის დებულება.

დავით მახვილაძემ უპაუხა რომ ვერ ჰქონდათ წარმოდგენილი, 2020 წელს მოქმედი ოღონდ ძველი რედაქცია ჰქონდათ. თქვა რომ იმდენად ბევრ პროგრამას შეეხო ეს პრობლემა სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართულებით, აღარ დაელოდნენ საანგარიშო პერიოდს და შეცვალეს 2020 წლის ბოლოს. ექსპერტებმა ნახეს და შეააფასეს მანამდე არსებული რედაქციების შემადგენლობა.

ნათია ზედგინიძემ თქვა, რომ ექსპერიზა ჩატარდა 2023 წლეს და იგი შესაბამისობაში უნა იყოს უკვე.

რაზეც უპასუხა რომ აბსოლიტურად შესაბამისია, ექსპერტების ლოგიკაა რომ ვინაიდან ქრონოლოგიურად რეკომენდაციების გაცემა იყო უფრო გვიან ვიდრე დეულებაში ცვლილებაა შეტანილი ამიტომ დარჩა რეკომენდაცია.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტები რაც წარმოდგენილია პასუხობს თავის დანიშნულებას. არის მაგისტრატურის დებულება, არის საამგისტრო ნაშრომის დებულება, შეფასები წესი და ა.შ. უბრალოდ ვერ დაადასტურებდნენ რომ 2021 წლის მერე რამე დოკუმენტი შეიქმნა.

დავით მახვილაძემ თქვა რომ 2021 წლეს მარტო წესის პროობლემა არ იყო, პრობლემა იყო მათ შორის დაწერილის აღსრულებაში. ის რა რეკომენდაციებიც მისცა საბჭომ ძველ რედაქციასთან იყო ბმაში. დაწესებულებამ არა მარტო რედაქციულად უზრუნველყო ასევე ყველა სტურქტურა მაქსიმალური ყურადღებით.

რაც შეეხება მატეილაური ბაზის სრულყოფას მიმდინარეობს ახლაც მათ შრის იქ სადაც ფალუკტეტი და საბჭოა წარმოდგენილი ინფრასტუქტურული სამუშაოები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და დაიცვეს რა თქმა უნდა გარკვეული პროცედურებიც. მიმდინარეობს ფინანსური რესურსის მაქსიმალურად დაგეგმილი გამოყენება, რისი შესაძლებლობაც აქვს უნივერსიტეტს არ გაჩერებულა. მათ შორის ამ პროგამის რეკომედაციის შესრულებისთვის გარკვეული აუდიტორიები და გარკეული სივრცეები სადაც აუდიტორებია მიმდინარობს განახლება. დავით მახვილაძემ უპასუხა კითხვას ასევე კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, თქვა რომ რამდენიმე პროგრამსასთან მიმართებით ექსპერტებმა საჭიროდ ჩათვალეს რომ ასეთი რეკომენდაციები გაეცათ რაც მიმდინარე რეჟიმში დგას. ამ ნაწილა ძირითადად იყენებენ დოქტორანტურის საფეხურზე. მაგისტრატურის დონეზე დარგში კვლევასთან მიმართებით აკეთებენ აქცენტს და შლიან სასწავლო კურსებში ასეთ სწავლებას, რომელიც სამაგისტრო

საფეხურის მკვლევარისთვის მიაჩნია რომ საკმარისია. მათ თუ ექნებათ რეკომენდაცია შეიმუშაონ დარგების მიხედვით კვლევის მეთოდები დამატებითი სილაბუსი ეს პრობლემას არ წაროადგენს, ფიქრობენ სტრუქტურა რომელიც არის წარმოდგენილი პროგრამის მიზანზე გადიან. ბოლო დაცვის პროდუქტი აქვთ გაცილებით მაღალხარიხიანი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია ფანცულაიამ განაცხადა, რომ აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ყველა კომპონენტი ერთანეთთან ბმაშია და შესაბამისად ამან გამოიწვია ამ საკითხების განმეორება, ასევე დაამატა, რომ პროგრამის სტრუქტურის მიხედვით მაგისტრანტს შეუძლია გაიაროს მხოლოდ ერთი კონცენტრაცია, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულებისათვის მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე კვლევის მეთოდების სწავლება ჩადებული იყოს ყველა კონცენტრაციაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის წავლის შედეგებზე გასვლას, ხოლო 2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა პროგრამის სტრუქტურასთან ბმაში. ასწავლო კურსი უნდა დაემატოს პროგრამის სტრუქტურაში, რომ ყველა სწავლის კომპონენტმა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლა.

აგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მას ისაუბრა, რომ ხშირ შემთხვევაში ერთი რეკომენდაციის გათვალისწინება დაკავშირებულია სხვა სახის ცვლილებებთანაც, მაგალითად, თუ სასწავლო პროგრამაში დავამატებთ კვლევის მეთოდების შემსწავლელ კურსს, მაშინ მას ასევე უნდა დაემატოს კვლევის დიზაინის, მიღებული წედეგების დამუშავება, წარმოების ეთიკური პრინციპები და ა.შ. მან აღნიშნა ყველა ეს საკითხი უნივერსიტეტის დონეზე რეგულირდება დებულებებით და არა კონკრეტულად ერთი სასწავლო კურსის სწავლებით. შესაბამისად შინაარსობრივად ზემოხსენებული რეკომენდაციები ერთნამეთს იმეორებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:37 სთ
დასრულების დრო: 17:05 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2027) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაცია:

- დასაზუსტებელი და დასაკორექტირებელია პროგრამაში ჩანაწერი სასწავლო კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებით, უკანასკნელის მოცულობა განისაზღვროს ნაცვლად 60 კრედიტისა 70 კრედიტით.
- რეკომენდებულია დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ მომიჯნავე სფეროების ბაკალავრიატის მისანიჭებელი კვალიფიკაციები ან დეტალურად გაიწეროს და დაკონკრეტდეს არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის მიღების შემთხვევაში მისაღებგამოცდებზე საგნების მიხედვით აპლიკანტთა შესაბამისი კომპეტენციები.
- ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის, თუ როგორ იმუშაონ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან და რომელი ბაზები შეესაბამება მათ სფეროს, რაც შესაძლოა მიღწეულ იქნას ფაკულტეტისა და დეპარტამენტის მუშაობის გაძლიერებით, სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით საბიბლიოთეკო რესურსების საჭიროების, მათი გამოყენების მნიშვნელობის, ციტირების წესების და ა.შ. შესახებ.
- რეკომენდებულია ბიბლიოთეკისა და სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების უახლოესი გამოცემებით განახლება;
- რეკომენდირებულია პროგრამის ინფრასტრუქტურისა და არსებული ლაბორატორიული ბაზის განახლება.
- სამაგისტრო პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა პროგრამა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სწავლებას, რ აც სწავლის შედეგების მიღწევას გახდის რეალისტურს.

რჩევა:

- გათვალისწინებულ იქნას პროგრამაში შემავალი სამივე კონცენტრაციის მიზნების ჩამოყალიბება ცალცალკე.
- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განისაზღვროს არა უნიფიცირებული (ყველა შედეგისთვის ერთნაირი) სამიზნე ნიშნულები, არამედ გათვალისწინებულ იქნეს როგორც რეალური მონაცემები, ისე სწავლის შედეგისა და მისი მიღწევის დადასტურების მიზნით გამოყენებული შეფასების კომპონენტების სპეციფიკა.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის კომპონენტების განხორციელების პროცესში გამოყენებულ იქნას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში მითითებული სწავლების მეთოდები (PBL, Case study).
- კურიკულუმსა და სილაბუსებში დადებითი და უარყოფითი შეფასების ფორმულირებები დაზუსტდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებაში "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" ბოლო ცვლილებების შესაბამისად.
- წაახალისეთ სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში: სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მოტივაციის ასამაღლებლად რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სტუდენტების ჩართულობის წახალისებით საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში.
- მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მ ე თ ო დ ე ბ ი ს
  გაცნობის მიზნით პერსონალის დამატებით გადამზადება.

- პერსონალის CV და შესაბამისი მტკიცებულებების განახლება
- სასურველია, რომ პერიოდულად პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს წარმომადგენლების მიერ, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის აქტუალობის შენარჩუნებას და განვითარებას.
- მიზანშეწონილია ჩატარებული გამოკითხვების (დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლის) შედეგები იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, რომელშიც იქნება იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები და სხვ.;
- მიზანშეწონილია, რომ შრომის ბაზარის კვლევის დოკუმენტის მეშვეობით იყოს შესაძლებელი პროგრამის განვითარებისთვის გასათვალისწინებელი ასპექტების დადგენა
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების ფორმულირება სასურველია ცალცალკე სამი კომპეტენციის „ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ სახით.
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში არადარგობრივი არჩევით სასწავლო კურსების შეთავაზება სტუდენტისათვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

4 საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" და "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№574578 01.06.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტრანსპორტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი Master of Transport Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები 0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას №68, ქ. თბილისი კორპ. I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას №68, ქ. თბილისი კორპ. I, 0160, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ფრიდონ გოგიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ ვიზიტი განხორციელდა აპრილის დასაწყისში, დასკვნამ გაიარა ყველა ის პროცედურა რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ორი პროგრამა იყო გაერთიანებული ერთ კლასტერში, იგი ხორცილედება ერთ კონკრეტულ ფაკულტეტზე. აღნიშნულ პროგრამებს უნივერსიტეტში განხორცილების დიდი გამოცდილება აქვს. კლასტერიდან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ,,ტრანსპორტს" მიღებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთხმად დაადასტურეს რეკომენდაციის შესრულება, რაც გაცემული იყო ამ პროგრამასთან დაკავშირებით, გამოჰყვეს რამდენიმე რჩევა რაც დაახარისხეს როგორც კლასტერის ასევე თითოეული პროგრამის მიმართ. რჩევებმა შემდეგი ხასიათი მიიღო: სასურველია საგანმანათლებლო პროგრამები გამდიდრდეს დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით და მემორანდუმებით. სტუდენტთა გამოკითხვების რელევანტურობის გაზრდის მიზნით სასურველია გაიზარდოს გამოკითხვებში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი. რეკომენდაციები არ ჰქონიათ. ისაუბრა ასევე განხორცილებეულ აქტივობებზე, რომელიც ინტერვიურების დროს გამოვლინდა. ექსპერტები გაესაუბენენ მიზნობრივ ჯგუფს, რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში. აღნიშნა, რომ ინტერვიურებისას დაისვა დამაზუსტებელი კითხვები, რის შედეგადაც აღარ გახდა საჭირო რეკომენდაციების წარმოდგენა. აღნიშნული პროგრამების მდგრადობასთან დაკავშირებით, როგორც ინსტიტუციას ასევე თვითონ ფაკულტეტს აქვს კარგი მიდგომა, იმ კუთხით რომ გამოყოფილია მატერილაური რესურსი. ტრანსპორტის მიმართულებით გაკეთებულია სააგნარიშო პერიოდში თვისობრივად და ხარისხობრივად ახალი ლაბორატორია, რომლის დაფინანშებაში ,,ფონდმა ქართუმ" მიიღო მონაწილეობა ასევე აღნიშნა, რომ ხორცილედება ძალიან ბევრი აქტივობა კვლევების მიმართულებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურისთვის და ეს კვლეევეზი ძირითადად გამომდინარეობს იმ პრაქტიკული ამოცანებიდან რომელსაც ყოველდღიურობაში ვაწყდებით. როგორც ერთ ასევე მეორე პროგრამაში ჩართული არიან ადამიანები რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ასოცირების ხელშეკურულების გარკვეული საკითხების იმპლემენტაციაში. ექსპერტმა, ცენტრს გადაუხდა მადლობა ექსპერტთა პროფესიონალური გუნდის დაკომპლექტებისთვის. საერთო ჯამში,

ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ ამ პროგრამების მიმართ სტანდარტები სრულად შესაბამისია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით მახვილაძემ, დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის, თქვა რომ თვითონ ვიზიტი საკმაოდ ღრმა ხასიათისა იყო და შედეგი რომელიც წარმოდგა ამ ორ პროგრამასთან დაკავშირებით გამომდინარეობს ძალიან ბევრი ფაქტორიდან. ფაკულტეტმა შეიმუშავა მდგრადი განვითარების დეტალური გეგმა და ხელახლა მოხდა გადააზრება თუ რა მიმართულება უნდა ყოფილიყო პრიორიტეტული. ყველა ის გამოწვევა რაც წინა პროცესში იყო წარმოდგენილი ნაბიჯ-ნაბიჯ უზრუნველყო ფაკულტეტმა. აღმოფხვრა ბაზებთან, პერსონალთან დაკავშირებით, თუ სტუდენტებთან მუშაობის ნაწილში. ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ადრე არსებული მექანიკის ინჟინერიის სამეცნიერო ტექნოლოგიის მიმართულება გაიყო ორად, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, და სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია. აღნიშნულ პროგრამას განვითარების დიდი რესურსი გააჩნია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დასვა კითხვა ინსტიტუციასთან მიმართებით. თქვა რომ გაეცნო რიგ სილაბუსებს შემთხევიობის პრინციპით და რამდენიმე მათგანთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა. სასწავლო კურსის ,,საწარმოო პროცესების სიმულაციური მოდელირება" სილაბუსში წერია, რომ წინაპირობა არ აქვს, თუმცა პროგრამაში წინაპირობად განსაზვრულია ,,კვლევის მეთოდები ინჟინერიაში" ითხოვა ამ საკითხის დაზუსტება. ხომ არ იყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან თვითონ საწარმო პროცესესბის სიმულაციურირი მოდელირება ძალიან ბევრი სასწავლო კურსის წინაპირობას წარმოადგენს. მეორე კითხვა ეხებოდა ,,პოლიგრაფიული მრეწველობის რესურსდამზოგ მოწყობილობებს" შინაარსიდან გამომდინარე ღნიშნული სასწავლო კურსი მატერიალურ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას საჭროებს. რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტი აღნიშნულს

მესამე კითხვა ეხებოდასასწავლო კურს ,,სამეწარმეო და ტექნოლოგიური ინოვაციათა მენეჯმენტი", სადაც ძირითადი ლიტერატურა არის 1988 წლის და 2003 წლის. ხომ არ ფიქრობს უნივერსიტეტი სავალდებულო ლიტერატურის განახლებას. ექსპერტებს რჩევაში უწერიათ მოხდეს რიგი სასწავლო კურსების ქართულ და ინგლისურ ენოვანი ლიტერატურის განახლება.

მეოთხე კითხვა ეხებოდა სასწავლო კურსს ,,ხარისხის ორგანიზაცია მრეწველობაში", სადაც სწავლების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია ლექცია, პრაქტიკული და სემინარი. რა განმასხვავებელი ნიშნები აქვს პრაქტიკულს და სემინარს. თემატიკა გაწერილია დეტალურად, მაგრამ აქტივობების დონეზე რა განსხვავებებს მოიაზრებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა პირველ კითხვას, აღნიშნა, რომ ის სილაბუსი რომელიც მას აქვს წინაპირობა არის კლვლევის მეთოდები, თვითონ სილაბუსი მოიცავს ტექნიკურ-სიმულაციურ მოდელირებას რომელიც კვლევის კომპონენტად უნდა გაიშალოს.

დავით მახვილაძემ დაამატა, რომ უნდა იყოს ეს წინაპირობა და არის კიდეც უბრალოდ ტექნიკური ხარვეზია.

პირველ სილაბუსთან დაკავშირებით ისაუბრა ასევე ექსპერტმა, მაია გრძელიძემ, აღნიშნა, რომ სილაბუსის პაკეტები, რომლებიც მათ მიიღეს წინაპირობა ფიქსირდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა გააგრძელა საუბარი მეორე სილაბუსთან დაკავშრებით ,პოლიგრაფიული მრეწველობის რესურსდამზოგი მოწყობილობები" რომ აქ სუბარია რიზოგრაფზე და იმ კომპიუტერულ სისტემებზეა, რომლის მატერილაური ბაზაც მათ გააჩნიათ. პოლიგრაფიული მრეწველობა მოიცავს ბეჭვდით მედიას, ამიტომ აღნიშნული სილაბუსით

განხორციელებეული სასწავლო მასალა აბსოლიტურად რელევანტურია უნივერსიტეტის ბაზის. რაც შეეხება შემდეგ შეკითხვას თქვა, რომ აქ არის როგორც სემინარული ასევე პრაქტიკული მეცადინეობა. როდესაც იგი ესაუბრა სილაბუსის შემქმნელს თქვა, რომ რადგანაც საქმე ეხება კვლევით კომპონენტს და მაგისტრატურის საფეხურის, მარტო სემინარით შემოფარგვლა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად ამიტომ აქვს ისეთი პრაქტიკული საკითხები რომელიც მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტმა როგორც კვლევითი კომპონენტი უნდა განახორციელოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:35 სთ
დასრულების დრო: 17:41 სთ
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკდერიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი- 0
გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა”ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკდერიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი- 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა”ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევა:

- სასურველია წარმატებული პრაქტიკის მქონე საზღვარგარეთ არსებულ პროგრამებთან დადარების დოკუმენტში (დანართი 12.3) სასწავლო კურსები დალაგებული იყოს მსგავსების მიხედვით;
- სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსებში ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ქართულენოვანი ან ინგლისურენოვანი გამოცემები.

5 საკითხი. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.12.2022 გადაწყვეტილება №1415348
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი

		კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია Psychology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32 თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ირინა ებრალიძემ.
აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ განისაზღვრა 7 რეკომენდაცია პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტის შეფასებით 7-ივე რეკომენდაცია შეფასდა, როგორც შესრულებული. 1-ლი რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის ნაწილს, მკაფიო უნდა გაეხადათ შესაძლებლობები სტუდენტებისთვის. სამაგისტრო პროგრამაში მათ აქვთ სამი მიმართულება ეს არის განათლების სოციალური და კლინიკური ფსიქოლოგია, შესაბამისად, შენიშვნა იყო შეეთავაზებინათ სტუდენტებისთვის პრაქტიკის შესაძლებლობები მაქსიმალურად რელევანტურ ორგანიზაციებზე. ამისთვის პროგრამამ ჩაატარა გამოკითხვა, დააგინა კონკრეტულად რომელი მიმართულების სტუდენტები მიიჩნევდნენ პრიორიტეტულად პრაქტიკის გავლას, კლინიკის მიმართულებით თუ

განათლების მიმართულებით თუ სოციალური მიმართულებით, შემდეგ უკვე განაწილება მოხდა ორგანიზაციებში გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით. დაწესებულების წარმომადგენელი ფიქრობდა რომ აქ შენიშვნა არ იყო კრედიტების პრაქტიკის ნაკლებობასთან დაკავშირებით.
შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, თქვა რომ აქ რეკომენდაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით რომ სწავლის შედეგები უნდა გაწერილიყო კონცენტრაციების მიხედვით, რაც გაითვალისიწინეს. თუმცა თავდაპირველ წარდგენილ პროგრამაში სამივე კონცენტრაცია იყო მითითებული სწავლის შედეგებში უბრალოდ ვიზუალურად არ იყო დაყოფილი. თვითონ შინაარსში ცვლილებები არ შეუტანიათ. გაითვალისწინეს ასევე შენიშვნა ფორმულირებასთან დაკავშირებით და გახადეს უფრო გაზომვადი. ასევე რეკომენდაცია ჰქონდათ შეფასებასთან დაკავშირებით FX-ის შეფასების შემთხვევაში, რადგანაც მესამე ბრძანება არ იყო მკაფიოდ გაწერილი. რაც გაასწორეს და დააკორექტირეს ისე რომ FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტების ნაშრომები გადაგდის შემდეგ სემესტრში წარსადგენად. კიდევ ერთი რეკომენდაცია იყო სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებით, ფაკულტეტმა თადარიგი დაიჭირა ამასთან დაკავშირებით და ყველა ხელმძღვანელს, ვინც ჩართული იყო სამაგისტრო კვლევაში სემესტრის დაწყებამდე ჰქონდათ გაგზავნილი შესაბამისი რეგულაციები და წესები. რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას, იგი ეხებოდა შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედებას, რეკომენდაცია გაიცა იმ კუთხით რომ დაწესებულებას უნდა აემოქმედებინა სრულად ეს სისტემა. ანგარიშის ჩაბარების დროს დასრულებული ჰქონდათ უკვე დამამთავრებელი კურსის სტუდენტების კომპლექსური გამოკითხვა. რის შესახებაც წარადგინეს შესაბამისი შედეგები ანგარიშთან ერთად. ამ დროისთვის კი შეაფასეს პროგრამის კიდევ ერთი ციკლი. ანალოგიური რეკომენდაცია ეხებოდა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას, რის შესახებაც წარადგინეს ჩამონათვალი იმ საერთაშორისო პრაქტიკებიდან საიდანაც აიღეს საუკეთესო პრაქტიკა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:54 სთ
დასრულების დრო: 17:57 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება :
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ფსიქოლოგიის (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

6 საკითხი. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30 დეკემბერი 2020 გადაწყვეტილება 1243301
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმის მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35. ბათუმი. 6000. საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა თამარ სირაძემ

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელი, ეკა გეგეშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ პროგრამა 2020 წლის დეკემბრიდან პირობითად იყო აკრედიტებული. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამა, რომელიც იყო არსებითად გადამუშავებული. აღნიშნა, რომ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია 1.3; 1.4; 1.5; ხოლო 2.3; და 5.3 კომპონენტები არის მეტწილად შესაბამისობაში. რეკომენდაციები იყო შემდეგი სახის:
რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რიგით მე-6 და მე-7 შედეგებში ასახული ჩანაწერი დაზუსტდეს, რადგან სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემამ, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ ასახოს, სამიზნე ნიშნულიდან გადახრის რა ხარისხი დაიშვება და ქმნის პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველს. ასევე გადამუშავდეს 1.4 კომპონენტის ანალიზში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის კომპონენტი წინაპირობების, გამოქვეყნების წლის, აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების წესების გათვალისწინებით. ასევე მიზანშეწონილია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში, კერძოდ, დაინერგოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ან შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრირდეს. სასწავლო კურსების შედეგების სამიზნე ნიშნულები საჭიროებს შინაარსობრივ გადამუშავებას და მკაფიო გამიჯვნას ერთმანეთისგან. მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტთან დაკავშირებული დებულება და დაზუსტდეს შემფასებელი კომისიის შემადგენლობა. გადაისინჯოს სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,კვლევის კომპიუტერული მეთოდები“, ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში“, ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი“, ,,ოპერაციული მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,სამაგისტრო ნაშრომი“ და მოვიდეს შესაბამისობაში რეალურ სასწავლო პროცესთან. რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი, განსაკუთრებით სამიზნე ნიშნულების გადამუშავების, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, აკადემიური წერის სტანდარტებზე მეტად ყურადღების გამახვილების, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით გაფორმებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით. ასევე ჰქონდათ რამდენიმე რჩევა, რომელიც პროგრამის გაუმჯობესებაზე არის მიმართული. საუკეთესო პრაქტიკის სახით აღნიშნა, უნივერსიტეტს აქვს მოქნილი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სრულყოფილია და აკმაყოფილებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საჭიროებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა თვითკრიტიკულად გადახედა დასკვნის პროექტს და მოხდა 2 რეკომენდაციის გაერთიანება, თუმცა ეს იყო რეკომენდაციიცების ოპტიმიზაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვლადიმერ ღლონტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების იმავე დღეს ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ განათლების ხარიხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას ბათუმის შოთა რუსთაველის ტურიზმის ფაკულტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი დადებითად აფასებს და მადლობას უხდის აკრედიტაციის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ტურიზმის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა გარდა იმისა, რომ პირდაპირ ბმაშია უნივერსიტეტის მისიასთან ესადაგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ ეკონომიკური განვითარების და ქვეყნის რეგიონულ ეკონომიკურ გეგმას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მნიშვნელობას. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, მით უფრო რომ არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ გათვალისწინებულ იქნა გარკვეული გარემოებები. დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, რაც მხედველობაში იქნება მიღებული დაწესებულების მიერ, ოპტიმალური ვადა ამ ყველაფრის შესასრულებლად არის ერთი წელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დასვა რამდენიმე კითხვა; პირველი ეხებოდა სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში" სწავლების მეთოდთან დაკავშრებით, რამდენად რელევანტური იყო როლური თამაში, სასწავლო კურსთან მიმართებით. აღნიშნა, რომ საინტერესო იყო შრომის ბაზრის კვლევა, სადაც 14 აკადემიური პერსონალი იყო ჩართული. დააზუსტა, თუ სად ხედავს უნივერსიტეტი კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. მესამე კითხვა ეხებოდა პროგრამის მე-8 სწავლის შედეგს ''წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრების სწავლის და პროფესიული განვითარების პროცესს'' კურიკულუმის რუკის მიხედვით ამ სწავლის შედეგზე გადის ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში თუმცა ვერ დაინახა კავშირი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის მე-8 შედეგს შორის.

კითხვა დასვა ასევე ექსპერტთან რეკომენდაცია 2.3 კომპონენტთან დაკაშირებით, სადაც საუბარია რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდების გადასინჯვაზე და ასევე რეალურ სასწავლო პროცესთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ითხოვა რეალური სასწავლო პროცესის დაზუსტება. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, კერძოდ, დებულებაში განსაზღვრულია მსგავსების მაჩვენებელი სადაც რეკომენდაციაა რომ გადაიხედოს მაჩვენებელი. დასვა კითხვა, თუ რამ განაპირობა ეს რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, პაატა ჩაგანავა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, საუბარი დაიწყო ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსთან დაკავშირებით, თქვა, რომ იყო რიგი უზუსტობები რაც გასწორდა. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, აღნიშნა რომ მათ ნიშა განსაზღვრული აქვთ, მათი მომხმარებლები არიან ადამიანები რომლებიც უკვე მუშაობენ ტურიზმის სფეროში და არიან მზად კარიერული წინსვლისთვის. ერთი ნაწილი არის ბაკალავრიატ დამთავრებულების, რომლებიც აგრძელებენ სწავლას მაგისტრატურაზე. მეორე ნაწილი არის ისინი, ვინც ბიზნესის ადმინისტრირებაზე სწავლობდა, აქვს ტურიზმის სფეროსთან შეხება და სურთ ტურიზმის მიმართულებით გაიღრმაონ ცოდნა. სტუდენტების მესამე ნაწილი არიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ბიზნესი და სურთ მიღებულ პრაქტიკას შეუსაბამონ თეორიული ცოდნა. რაც შეეხება, აკადემიურ წერას ამას ეთანხმებიან სრულიად. კითხვას, რომელიც ეხება, თუ როგორ გადის პრაქტიკაზე აღნიშნა, რომ ბევრ სასწავლო კურსში განსაკუთრებით ფუნქციონალურ

ნაწილში, მარკეტინგის მენეჯმენტში, ფინანსურ მენეჯმენტში სტუდენტმა პრაქტიკულად უნდა იცოდეს, თუ როგორ ჩამოაყალიბოს ეფექტიანი გუნდი და მართოს იგი. ამ მიზნით გაიყვანეს ბოლო სწავლის შედეგზე.
ვლადიმერ ღლონტმა დაამატა, რომ რეალურად მერვე შედეგზე გავლენ უკვე იდენტიფიცირებული ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსის დახვეწის შემდეგ. ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსი რადიკალურად შეიცვლება და ამით იქნება შედეგი მიღწეული.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დასვა კითხვა ასევე მსგავსების კოეფიციენტთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, დებულებით რამდენი პროცენტი იყო განსაზღვრული მსგავსების მაჩვენებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრულია მსგავსების მაჩვენებელი. საბაკალავრო ნაშრომებისთვის თუ დაფიქსირდა 40%-მდე, ამ შემთხვევაში პროგრამა აძლევს უფლებას, რომ გავიდეს დაცვაზე, სამაგისტროს შემთხვევაში ეს არის 30 %-ი, ხოლო სადოქტორს შემთხვევაში 20%. თუმცა, შუალედია მითითებული სამაგისტროს ნაშრომთან მიმართებით, 30-დან 70-მდე დაფიქსირების შემთვევაში ექვემდებარება გადამუშავებას 2 კვირის ვადაში, შესაბამისად, მეორად ატვირთვას თუ მსგავსების მაჩვენებელი აღმოჩნდა 30-ზე დაბალი გადის მეორად დაცვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვაზე აღარ გადის სტუდენტს შეფასებად ჩაჭრა უფორმდება. მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია რომ პლაგიატი უნდა იყოს 0%, დაუშვებელია პლაგიატი იყოს 1ან 2%. ტურნიტინის პროგრამით აფასებენ მექანიკურ მსგავსებას, ახლანდელი მოქმედი რეგულაციით 30% მსგავსება დასაშვებია, თუმცა პერსპექტივაში უნივერსიტეტი ფიქრობს აღნიშნულის გამოსწორებას. იმ შემთხვევაში თუ მსგავსების მაჩვენებელი არის 30% ერთგვარი შეფასების პროცესი რომელშიც ჩართულია რეცეზენტი, დაცვის კომისია, ექსპერტი რომლებიც აფასებენ 30%-იანი მსგავსების მაჩვენებელი არის თუ არა სხვის მიერ მიღებული შედეგების ასახვა, თუ მექანიკურ თანხვედრასთანაა საქმე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეთანხმებიან დებულების წესს, რომელიც არის 30% მსგავსება, მაგრამ მიაჩნიათ რომ თუ 30-დან 70-მდე აღმოჩნდა მსგავსება 2 კვირის მიცემა სტუდენტებისთვის არარელევანტურია. ამასთან, რეკომენდაცია შეეხებოდა უშუალოდ ,,ტურნიტინის" პროგრამას, რომელიც ელექტრონულ სისტემაში იმგვარადაა ჩაშენებული, რომ სტუდენტს სპეციალური ღილაკის საშუალებით შეუძლია ნაშრომის ატვირთვა. უმჯობესი იქნებოდა, თუ ტექნიკურად, ელექტრონული სისტემიდან გამოიტანენ დამთხვევის მაჩვენებლის პროგრამას, და სტუდენტებს თემის არჩევისთანავე ფაქტობრივად, პირველივე დღიდან ატვირთავს ნაშრომს და პროცესში გამოასწორებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ აღნიშნულს აამოქმედებენ, კარგი იქნება. ამასთან უნდა გადაიხედოს 70%-იანი დამთხვევის შემთხვევაში, სტუდენტისთვის მიცემული გამოსწორების ვადის რელევანტურობა. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა დაამატა, რომ აქ იყო პროცენტის დაზუსტება კრიტერიუმთან მიმართებით, კრიტერიუმი რის მიხედვითაც განმარტავს დაწესებულება როგორ იმოქმედოს.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძემ დააზუსტა, რომ 30% ზღვარი დასაშვებია თუ არა ექსპერტებისთვის?
რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში დასაშვებია, აქვე დაამატა რომ საერთაშორისო სტანდარტებით, ტურიზმში და ბიზნესში 30% ზღვარი დასაშვებია, ყველა უნივერსიტეტს აქვს არჩევანი თავად გააკეთოს. ვლადიმერ ღლონტმა დაამატა, რომ ისინი დაეთანხმნენ ექსპერტების ამ რეკომენდაციას ზუსტად იმ ფორმულირებით, რა ფორმულირებითაც არის წარმოდგენილი. რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვლება იმდაგვარად, რომ მარტო ტექნიკური მაჩვენებელი მსგავსებისა არ იყოს გადამწყვეტი ამ შეფასების პროცესში, არამედ ამ შეფასებაში ჩაერთოს თვისობრივი შეფასება ხელმძღვანელის, ექსპერტების, დაცვის კომისიის და შესაბამისად პასუხისმგებლობა გაეზარდოს აკადემიური კეთილსინდისიერების პროცესის განსაზღვრაში. არ დაეყრდნონ მხოლოდ იმ ტექნიკურ მსგავსების მაჩვენებელს, რომელსაც

სიტემა იძლევა. სისტემას გამოიყენებენ როგორც საშუალებას იმისათვის, რომ შეფასების პროცესში ხელმძღვანელს და დაცვის კომისიას გაუადვილდეს მსჯელობა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დასაზუსტებელი კითხით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს , თუ სტუდენტმა ატვირთა ამ პროგრამაში ნაშრომი, დამთხვევის მაჩვენებელი აღმოჩნდა 30-დან 70%-მდე, ორი კვირის განმავლობაში სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს მის მოდიფიკაციაზე. ამის შემდეგ, სტუდენტი ისევ ტვირთავს, თუ მაჩვენებელი იქნება 30%, რაც არის დასაშვები ზღვარი. მაგრამ სტუდენტის შეფასება ხდება არა მხოლოდ 30% დაშვების ზღვარის კრიტერიუმით არამედ, დამატებითი შეფასებებით და კომისიის კრიტერიუმებით, რაზეც თანხმობა მიიღო.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა, დააზუსტა, რომ გადახედვა არის 30-დან 70-მდე პროცენტული მაჩვენებლის 50% - მდე შემცირებაში, რათა რელევანტური გახდეს მაგისტრანტებისთვის მიცემული დრო. ,
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, სტუდენტებს მიეცემათ საშუალებას რამდენჯერმე ატვირთონ ნაშრომი სემესტრის განმავლობაში, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირეს.
ვლადიმერ ღლონტმა დაამატა, რომ ამ რეკომენდაციის შესრულების პროცესში გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და მონიტორინგის რიგი საკითხებს, გაითვალისწინეს ექსპერტების რეკომენდაცია და მისცეს შესაძლებლობა მაგისტრანტებს, პერიოდულად შესრულებული ნაწილების მიხედვით იდენტიფიცირება მოახდინონ მსგავსების მაჩვენებლის. შესაბამისად, ეტაპობრივი ატვირთვის შესაძლებლობა ექნებათ, ტურნიტინის ამ შესაძლებლობას ჩაირთვება და იქნება მას ხელმისაწვდომი სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში.
მიხეილ ბიჭიამ ამავე საკითხზე დაამატა, რომ ნარატივში ამავე დროს განსაზღვრული აქვთ, რომ 30% მაჩვენებლის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ პლაგიატი არ არის. ეს მნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ დასაწყისშივე 30% მსგავსების კოეფიციენტის შემთხვევაში არ ჩაითვალოს რომ უპრობლემოა ნაშრომი ან პირიქით. ექსპერტებმა გაითვალისწინეს აღნიშნული და ჩათვალეს რომ პოზიტიური შეფასების მიღების შესაძლებლობა მიეცემა სტუდენტს მით უფრო, როდესაც შესაძლებელია მომავალ სემესტრში გადამუშავებული ვერსია წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამაგისტრო ნაშრომის სახით. შესაბამისად, ჩათვალეს, რომ გადამუშავებულობის ერთ-ერთი კომპონენტი იყოს კერძოდ, როდესაც აისახება მაგისტრანტის შესაძლებლობა მომდევნო სემესტრში წარადგინოს გადამუშავებული კვლევითი ნაშრომი. ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრული იქნება სასწავლო პროცესის მართვის წესში არ ითვალისწინებდეს ჩაჭრილად ამ მაგისტრანტის განხილვას და ჩაითვალოს, რომ მას აქვს შესაძლებლობა ხელმეორედ გადაამუშაოს სამაგისტრო ნაშრომი, ხელმღვანელის ჩართულობით.
ვლადიმერ ღლონტმა დაამატა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრული აქვთ. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მინისტრის მე-3 ბრძანება, საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი აძლევს შესაძლებლობას თუ მიღო შეფასება “F”, მას ფინასური რეგისტრაციის შესაბამისი თანხის გადახდის გარეშე აქვს შესაძლებლობა მომდევნო სემესტრში ეს ნაშრომი დაარეგისტრიროს და გაიტანოს საჯარო დაცვაზე. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს 8 სახელმწიფო უნივერისტეტთან ერთად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორობით, ჩართულია აკადემიური კეთილსინდისიერების კვლევაში ერასმუსის პროექტში, სადაც კონკრეტულად სწორედ სამაგისტრო პროგრამებისთვის და სადოქტორო პროგრამებისთვის კვლევითი საქმიანობისთვის, აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასების

თვალსაზრისით შემუშავებული იქნება გარკვეული რეკომენდაციები და რეგულაციები. ბუნებრივია, ეს გარემოება ამ რეკომენდაციის შესრულებასაც მათი გამოცდილებაც შეუწყობს ხელს.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს, რეკომენდაციათა ნუსხაში ერთის მხრივ კვლევის მეთოდები სასწავლო კურსის ინტეგრაციაზე და მის გაძლიერებაზეა საუბარი. 2,2 კომპონენტში ასევე საუბარია, რჩევის სახით, სამაგისტრო ნაშრომებში კვლევის მეთოდის გამოყენებაზე, აკადმიური წერის სტანდარტებზე, ლიტერატურის მოცულობის გაფართოვებაზე. შესაბამისად იგი დაინტერესდა ექსპერტთა მისაზრებით, თუ, როგორია ექსპერტული შეფასება სამაგისტრო ნაშრომების ხარისხთან და შინაარსთან მიმართებით.
ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ მათ წესისამებრ გამოითხოვეს სამი სხვადასხვა შეფასებების მქონე სამაგისტრო ნაშრომი, დახვდათ შემდეგი სიტუაცია, სამაგისტრო ნაშრომი შედეგზე გასულია სხვადასხვა შეფასებით თუმცა აღმოაჩინეს აკადემიური წერის ნაწილში ხარვეზი, რის გამოც მიეცათ საფუძველი შესაბამისი რეკომენდაციის ჩამოსაყალიბებლად, ხოლო მეთოდების გამოყენება შეფასების ქულიდან გამომდინარე, სადაც მაღალი იყო შეფასება იქ სათანადოდ იყო წარმოდგენილი, სადაც დაბალი შეფასება იყო, იქ არ იყო კარგად განვითარებული მაგრამ ეს იმას არ გვაფიქრებინეს რომ შედეგეზე ვერ გავიდა. შედეგზე და კვალიფიკაციის ნაწილში გარკვეული კითხვები არსებობდა.
ნათია ზედგინიძემ დააზუსტა რომ ნაშრომები იყო დარგთან შესამაბისი და რელევანტური, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:30 სთ
დასრულების დრო: 18:47სთ

სხდომმის თვმჯდომარემ განაცხდა რომ, დისკუსიის პროცესში გაჩნდა კითხევბი.
საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში საუბარია ბიზნესის სამართლის შემოტანაზე, , რომ ტურიზმის დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმის კონკრეტულ სექტორში ბიზნესის პროცესების და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ თუმცა, შემდეგ აღნიშნავენ, რომ ბიზნესის სამართალი შესწავლას სცილდება მაგისტრატურის დონეს, დასვა კითხვა თუ როგორ გეგმავენ ამ პრობლების გადაჭრას. რადგანაც დარგობრივ მახასიათებლებთან ამ კონტექსტში არის აცდენა.
პროგრამის ხელმძღვანელმა, პაატა ჩაგანავამ აღნიშნა, რომ დარგობრივ მასხიათებელში არსებული ჩანაწერის მიხედვით, სამაგისტრო საფეხურზე, სტუდენტს უნდა გააჩნდეს სამართელბრივი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნაარისთვისაც საჭიროა გქონდეს საფუძველიც მასთან, ფიქრობს რომ დარგობრივი მახასიათებელი საჭიროებს გადახედვას და გადამუშავებას.
სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დააზუსტა რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ბიზნეს ადმინისტრირება ტურიზმის მენეჯმენტშია.
საბჭოს წევრმა დაამატა,, რომ აქ საუბარია დარგობრივ რეგულაციებზე. როდესაც დარგობრივი მახასიათებელი რაღაც მოთხოვნას აყენებს პროგრამა ამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ითხოვა ამ ყველაფრის განმარტება.
როგრამის ხელმძღვანელმა, პაატა ჩაგანავამ თქვა, რომ დარგობრივ მახასიათებელში წერია რომ ეს არის დოკუმენტი რომელიც არის რაღაც ჩარჩო და არა სავალდებულო დოკუმენტი. დაწესებულება უნდა პასუხობდეს აღმწერს მაგისტრატურის დონეზე, რასაც პასუხობს კიდეც. სამართლერივი საკითხი დარგობრივ მახასიათებელში იყოს თუ არა ეს კიდვ დისკუსის საგანია.
ქსპერტმა, ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ დარგთან მიმართებით ბიზნეს სამართლისა და გადასახდების საკითხებთან დაკავშირებით ღრმა და სიტემური ცოდნა სავალდებულო არ არის,

თუმცა ცოდნა გაცნობიერების დონეზე სტუდენტმა უნდა იცოდეს ბიზნესის ორგანოები, ფორმები და გადასახადების ძირითადი მახასიათებლები. თუმცა არის პროგრამაში საგანები, სადაც ეს საკითხები ნაწილობრივ იფარება, მაგრამ ფიქრობენ რომ ზოგიერთ საგნებში ეს სამართლებრივი ცოდნის საკითხები უკეთესია, რომ იყოს წამოდგენილი. პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირების ტურიმის მენეჯმენტის მიმართულებით იმდენად ღრმა კომპეტენციებზე გადის, იმ კომპეტენციებზე ვერ გავა გადასახადებისა და ორგანიზების ფორმებზე წარმოდგენა რომ არ ჰქონდეს და სხვა სილაბუსებში არ იყოს, რომელიც კარგად პროფესიულად დატვირთული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაა. ამით ეს პროგრამა უნიკლაურიბით ხდება, შრომის ბაზრის ინტენსიური სამუშაო აქვთ ჩატარებული თვითონ დასაქმებულებს, კურსდამთავრებულები უწყობენ ამ მოთხოვნებს ხელს. დასაქმების მაჩვენებელიც მაღალი აქვთ ვიდრე თვითონ ბათუმის უნივერსიტეტის სხვა იგივე ბიზნესის ადმინისტრირების ჩვეულებრივ კურსდამთავრებულებს. ექსპერტი მიესალმება თუ ღრმად იქნება ბიზნეს სამართალი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამაში. თუმცა პროგრამა ისეა წარმოდგენილი რომ ხელმძღვანელი ალბათ ასე ხედავს და აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ თქვა, რომ არსებობს კონკრეტული დოკუმენტი, დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც ადგენს მინიმალური სწავლის შედეგებს შესაბამისი საფეხურისთვის შესაბამისი მიმართულებით, შესაბამისად ის კომპონენტი რომ სამართლებრივი საკითხი შედეგის კუთხით პროგრამას უნდა ჰქონდეს დარგობრივ მახასიათებელს უკვე აქვს განსზღვრული და ამ ჩარჩო დოკუმენტში ეს არის. დასვა კითხვა აქვს თუ არა ამ პროგრამას სწავლის შედეგებში ასახული სამართალთან დაკავშირებული საკითხები. თუ არ აქვს მაშინ რომელი სასწავლო კურსებით დგინდება ის ფაქტი, რომ სტუდენტი გადის იმ სწავლის შედეგზე რომელიც ბიზნეს სამართალს უკავშირდება.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო დონეზე სიღრმეებში უნდა შეიჭრან.იურისტისთვის სიღრმეებში შესვლა მნიშვნელოვანია მაგრამ სიღრმეებში რამდენად შევა ამ პროგრამის კურსდამთავრებული სამაგისტრო დონეზე მსჯელობის საკითხია. საბაკალავრო დონეზე რაც საჭიროა მინიმალური კომპეტენციისთვის სამაგისტრო ხო არ აკმაყოფილებს? ამ შემთხვევაში რამდენად შეიძლება ის სიღრმეები წამოიწიოს ამ პროგრამით რაც საჭიროა ბიზნეს სამართლის კუთხით.

ექსპერტმა, ეკა გეგეშიძემ თქვა, რომ ვერ მიიღებს ეფექტიან გადაწყვეტილებას, რომელიც ერთ-ერთი შედეგი არის. ამ ყველაფრის გადამოწმების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელებთან თუ კურსდამთავრებულებთან დაადასტურა, რომ აუცილებელი კომპეტენციები კურსდამთავრებულებს აქვთ. თვითონ პროგრმაში ჩართული სპეციალისტები ბევრად უკეთ ამუშაებენ ამ საკითხს ვიდრე ფურცელზე წერია.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტი, დარგობრივი მახასიათებელი რომელის გათვალისწინებაც აუცილებელია.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა, თუ საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული ცოდნა სამართლის მიმართულებით არ ყოფნის და ერთი კონკრეტული საგანიც კი სამაგისტრო პროგრამაზე ვერ მისცემს სტუდენტს შესაძებლობას მიიღოს ეს გადაწყვეტილებები მაშინ როგორ გადის იმ მინიმალურ კომპეტენციაზე რომელიც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით.

ექსპერტმა, პაატა ჩაგანავამ თქვა, რომ როდესაც პირველად დარგობრივ მახასიათებელში ნახა ეს დოკუმენტი არ მოეწონა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ახლაც იგივე პოზიციაზეა. შეუძლებელია მაგისტრატურის დონეზე სამართლებრივი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნის მიღება. ამიტომ გადასახედია დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა და თქვა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ითხოვს ღრმა და სისტემურ ცოდნას ტურიზმის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების შესახებ. ამის გაკეთება შესაძლებელია სხვადასხვა დისციპლნებში სწორედ ეს იყო ერთ-ერთი შეკითხვის არსი ხომ არ არის გაბნეული სხვა სილაბუსებში სამართლებრვი რეგულაციები, რაც შეიძლება იყოს რელევანტური ან ხომ არ არის

ცაკლე დისციპლინა შეთავაზებული. ცალკე დისციპლინა არ არის, დარგობრივი დოკუმენტი მოცემულობა რომელიც მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ თქვა, როდესაც დარგობრივ მასახიათებელს იღებენ როგორც დოკუმენტს მისი ვერსია ეგზავნება ყველა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას განსახილველად, შესაბამისი უკუკავშირის მისაღებად. ამის შემდეგ ინიშნება ღია საჯარო განხილვა სადაც ასევე უსდ-ებს აქვთ შესაძლებლობა დასვან მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე კონკრეტული კითხები.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მიიღეს მონაწილეობა და დაწესებულების წარმომადგენელიც იყო წარმოდგენილი.
ვლადმიერ ღლონტმა აღნიშნა, რომ დარგობრივ მასახიათებელში არის შემდეგი ჩანაწეი ''ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.'' აქ საუბარია იმ სამართლებრივ რეგულაციებზე რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან და ამ შემთხვევაში ალბათ ბიზნეს ადმინისტრირებასთან და ფინანსური სამართლის კონკრეტულ საკითხებთან. მას წარმოუდგენლად მიაჩნია ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა მართვის საკითხებთან მიმართებით ისე, რომ გვერდი ავუაროთ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების განხილვას. კონკრეტულად ფინანსური მენეჯმენტის სწავლება ამ შემთხვევაში წარმოუდგენელია ფინანსური სამართლის შესაბამისი ნორმატიული აქტების და კანონმდებლობის გარეშე, მათ შორის გადასახადებისა და დაბეგვრის. როგორ ასწავლიან ფინანსურ მენეჯმენტს თუ შესაბამისი კანონმდებლობა შესაბამისი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები არ იქნება ასახული. ამიტომ კონკრეტული შედეგის მიღწევა რაც დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული რაც აუცილებელი მინიმალური სტანდარტია შესასრულებლად, რასაც დაწესებულება ეთანხმება და შეასრულებს ამ შედეგის მიღწევა იქნება შესაძლებებლი არა კონკრეტული სახელწოდების სასწავლო კურსით არამედ შესაბამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებული საკითხების გავლით. ეს პრობლემა არის განსჯის საგანი, მაგრამ მოგვარებადია იმ თვალსაზრისით რომ კონკრეტული საკითხის ინტეგრირების შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით ამ შედეგზე გასვლა შესაძლებელია და კონკრეტულად ფინანსურ მენეჯმენტში. აღნიშნა, რომ პროგრამა უნიკალურია, საინტერესოა, დიფერენცირებულია ბიზნესის ადმინისტრირების მოქმედი სამაგისტრო პროგრამისგან და ტურიზმის ეს სფეციფიკა არის წარმოჩენილი, განსაკუთრებულად რისკების მართვის თვალსაზრისით, შესაბამისი მათემატიკის მოდელის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად ამ საკითხის დარეგულირება შესაძლებელია რასაც აუცილებლად გააკეთებენ.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ თქვა, რომ დამატებით გადახედა სილაბუსებს, ერთ-ერთ სასწავლო კურსში ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი" მე-10 თემა არის მართვის ნორმატიული უზრუნვეყოფა. ეს თემა სხვა სილაბუსებში არ გვხვდება, კარგი იქნება თუ ამასთან დაკავშირებით რჩევა გადაწყვეტილებაში აისახება რათა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:06 სთ
დასრულების დრო: 19:27 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაცია:

- სასურველია, დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს პრაქტიკის ხანგრძლივობა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
- პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგი ტურიზმის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ.
- რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების რიგით მე-6 და მე-7 შედეგებში ასახული ჩანაწერი დაზუსტდეს; სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემამ, ასევე, მონიტორინგისა და შეფასების გეგმამ ასახოს, სამიზნე ნიშნულიდან გადახდის რა ხარისხი (სიდიდე) დაიშვება და ქმნის პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველს.
- რეკომენდებულია, გადამუშავდეს 1.4 ქვესტანდარტის ანალიზში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის კომპონენტი წინაპირობების, გამოქვეყნების წლის, აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების წესების გათვალისწინებით
- რეკომენდებულია, ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ტურიზმის კონკრეტულ სექტორთან დაკავშირებული ბიზნეს პროცესების და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ, სასწავლო კურსი ან/და საკითხები ინტეგრირდეს სასწავლო პროგრამაში
- მიზანშეწონილია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება მოხდეს სისტემატიზებულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად შესაბამისი სასწავლო კურსის ფარგლებში კერძოდ, დაინერგოს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ან შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრირდეს.
- სასწავლო კურსების შედეგების სამიზნე ნიშნულები საჭიროებს შინაარსობრივ გადამუშავებას და მკაფიო გამიჯვნას ერთმანეთისგან.
- მიზანშწონილია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტთან დაკავშირებულიდებულება და დაზუსტდეს შემფასებელი კომისიის შემადგენლობა.

- რეკომენდებულია, გადამუშავდეს 1.4 ქვესტანდარტის ანალიზში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების ლიტერატურის კომპონენტი წინაპირობების, გამოქვეყნების წლის, აკადემიური წერის სტანდარტებით წყაროს მითითების წესების გათვალისწინებით.
- დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს პრაქტიკის ხანგრძლივობა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
- გადაისინჯოს სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსების სილაბუსებში ,,კვლევის კომპიუტერული მეთოდები“, ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში“, ,,დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი“, ,,ოპერაციული მენეჯმენტი ტურიზმში“, ,,სამაგისტრო ნაშრომი“ და მოვიდეს შესაბამისობაში რეალურ სასწავლო პროცესთან.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მონიტორინგი, განსაკუთრებით სამიზნე ნიშნულების გადამუშავების, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, აკადემიური წერის სტანდარტებზე მეტად ყურადღების გამახვილების, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების, და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

რჩევები:

- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას კვლევის მეთოდების გამოყენების, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის და დამუშავებული ლიტერატურის მოცულობის გაფართოების თვალსაზრისით;
- სასურველია, აკადემიური წერის სასწავლო კურსის დანერგვა მაგისტრატურის დონეზე. თუკი ეს ვერ მოხერხდება ერთი საგნის პრინციპით, მაშინ შინაარსობრივად რომელიმე ახლომდებარე სასწავლო კურსთან ინტეგრაციით იქნება შესაძლებელი. სტუდენტთა სურვილისა და სამაგისტრო ნაშრომებში აღმოჩენილი გარკვეული აკადემიური ხარვეზების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ აკადემიური წერის სწავლა ყველა მაგისტრანტისთვის სავალდებულო უნდა იყოს;
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, განსაკუთრებით - წყაროთა დამოწმებისა და ბიბლიოგრაფიის ნაწილში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი იმ წლის მიხედვით, რომელიც უნდა შემოწმდეს ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.
- სასურველია, ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან.
- სასურველია, სამიზნე ნიშნულების შეფასების სისტემაში მისი განსაზღვრის საფუძველიც აისახოს, რათა მომავალში მონიტორინგის მიზნით მიმდინარე სამიზნე ნიშნულებთან დადარდეს მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგები.
- უმჯობესი იქნება, ჩატარდეს შესაბამისი კვლევა, რამდენად შეესაბამება ცალკეული სასწავლო კურსებისათვის დათმობილი სასწავლო დრო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დრო და სასწავლო მასალების მოცულობა სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტს საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- კარგი იქნება, თუ უსდ Turnitin-ის პლაგიატის პროგრამის შესაძლბელობას გამოიყენებს სრულად და მასში დაარეგისტრიროს თავად სტუდენტი, სადაც მას მთელი სემესტრის განმავლობაში ექნება მისი ნამუშევარის პლაგაიატზე შემოწმებისა და გამოსწორების საშუალება, რაც საბოოლო ჯამში უფრო მეტად აამაღლებს აკადემიურ კეთილსინდისიერებას
- სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ცალკე ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასების თაობაზე სპეციალური გამოკითხვა.

- სასურველია, ცალკე შემუშავდეს ანალოგ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი, რომელიც უფრო ნათლად ასახავს საakრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასა და ანალოგ პროგრამებს შორის განსხვავებებს, პროგრამაში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების დეტალებს.

7 საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია Sociology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№151408; 15.02.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის მაგისტრი Master of Sociology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 - სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. №1, №8, თსუ-ს კორპუსები I, VI; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხდა მამუკა ხუსკივაძემ და თამარ ზარანდიამ

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ელენე გავაშელიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ დასკვნა ეყრდნობა ორგანიზაციის მიერ წარმოდგნეილ ანგარიშს, რომელიც გულისხმობდა ერთი წლის თავზე წარმოდგენას იმისას თუ რა შესრულდა დაკისრებული რეკომენდაციებიდან. განსაზღვრული იყო 11 რეკომენდაცია, მათგან სრულად შესრულებულია რეკომენდაცია N2,3,7,8 და 9. ნაწილობრივ გათვალისწინებულია რეკომენდაცია N6 და N10. უნივერსიტეტს აქვს თავისი პოზიცია და არ გაუთვალისწინებია რეკომენდაცია N4, N5 და N11. რაც შეეხება 1-ელ რეკომენდაციას აქ უნივერსიტეტს ეს სიტყვიერად გათვალისწინებული აქვს, თუმცა დამადასტურებელ დოკუმენტებში არარსებობის გამო ბუნდოვანი იყო გარკვევა რამდენად ზუსტად შესრულდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადებას, ისაუბრა მე-4 რეკომენდაციაზე რომელიც არ გაითვალისწინეს, კერძოდ რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო. აწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სოციოლოგია პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად ეს არის თეორიულ სოციოლოგია და გამოყენებითი სოციოლოგია ან ემპირიული სოციოლოგია. გამოყენებითი სოციოლოგია მოიცავს სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს, თავის მხრივ, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად ეს არის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით სოციოლოგიაში ანუ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში ჯამში მოიცავს 35 კრედიტს, როგორც სავალდებულოს. აქედან 20 კრედიტი ეთმობა ე.წ თეორიულ კურსებს რადგან მასში აქტიურად არის ჩართული პრაქტიკული კურსები, და რაც მთავარია პროგრამა მოიცავს 15 კრედიტიან სავალდებულო კურსს, რომელსაც ჰქვია პრაქტიკუმი სოციოლოგიაში. პრაქტიკუმი სოციოგიაში სხვა არაფერია თუ არა კვლევების ჩატარება ანიდან ჰოემდე მათ შორის მონაცემთა ანალიზის მეთოდების აქტიური გამოყენებით. იგულისხმება როგორც თვისობრივ ასევე რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი. 15 კრედიტიანი სავალდებულო პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან მონაცემთა ანალიზის პროგრამებს ეს არის თვისობრივი კვლევის პროგრამა, როგორიც არის Nvivo და რაოდენობრივი კვლევის პროგრამა, როგორიც არის SPSS-ი. კომპიუტერული ანალიზის პროგრამის უნარ-ჩვევები ინტენსიურად ისწავლება 15 კრედიტის

ფარგლებში, გარდა ამისა არჩევითი კურსის ფარგლებში შემოიტანილია ალტერნატიული პროგრამა რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი სტატა, რომელიც მიეწოდება სტუდენტებს არჩევითი კურსის ფარგლებში. მდენად, პროგრამა აბსოლუტურად გაჯერებულია მონაცემთა ანალიზის მეთოდების კომპიუტერული პროგრამების სწავლებით და დამატებით სავალდებულო კურსების შემოტანა ამ მიმართულებით პრინციპულად გაუმართლებელია.
სხდომის თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თქვა რომ რეკომენდაცია ითვალისწინებდა stata და spps შეცვლას, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რომ Stata არჩევითი კურსის სახით არის და რეკომენდაცია გულისხმობდა სავალდებულო სტატუსად.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ რეკომენდაციაში ეწერა SPSS, ან STATA. 15 კრედიტიანი სოციოლოგიური პრაქტიკუმის ფარგლებში SPSS-ი ინტეგრირებულია, როგორც სავალდებულო კურსი, ხოლო stata არის არჩევითი კურსი. ფიქრობს რომ ეს რეკომენდაცია პრაქტიკულად შესრულებულია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაცია სავალდებულო თეორიულ კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვის შესახებ, თქვა რომ იყო ტექნიკური ხარვეზი გაგზავნილ სილაბუსებში გადაფარვა, რომელიც ორ თემას შეეხებოდა იყო გადაფარვა რაც აღმოიფხვრა, ტექნიკური ხარვეზის გამო გაგზავნილ იქნა ძველი სილაბუსი. რეკომენდაცია, რომელიც ვერ გაითვალისწინეს მდგომარეობს შემდეგში, რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, თქვა რომ მათ სამაგისტრო პროგრამაში აქვთ შესაძლებლობა მაქსიმუმ ორმა სტუდენტმა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი. თქვა რომ მნიშვნელოანია გარკვეულ სფეციფიკურ შემთხვევებში მისცენ ორ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის შესაძლებლობა. განმეორდა და თქვა რომ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისგან შედგება გამოყენებითი სოციოლოგია, თუ თვისობრივი კვლევის გამოყენება თავიდან ბოლომდე ერთი მკვლევრის მიერ არის შესაძლებელი, რაოდენობრივი კვლევა თვისობრივი კვლევისაგან განსხვავებით არის წარმოება რომელიც შედგება სხვადასხვა რგოლისგან და ამ რგოლების შესრულება ერთ ადამიანს ერთი კვლევის ფარგლებში არ შეუძლია. ამიტომ თუ დაწესებულება მკაცრად გადაწყვეტს, რომ ერთმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი ნიშნავს იმას რომ პრაქტიკულად ჭრიან გზას სამაგისტრო ნაშრომები მომზადდეს რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე. შესაბამისად სამაგისტრო ნაშომები უნდა შესრულდეს ან თეორიული სოციოლოგიის სფეროში ან გამოყენებითი სოციოლოგიის სფეროში თუმცა თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას ერთი სტუდენტის ძალისხმევა არ ეყოფა. იმისათვის რომ სტუდენტებისთვის მიეცათ შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომები შეესრულებინათ რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე დაუშვეს რომ ორმა სტუდენტმა იმუშაოს ოღონდ აუცილებლად ორი სტუდენტის ძალისხმევა უნდა იყოს, თანაც სამაგისტო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 1/3-ით(ერთი მესამედი) უფრო მეტი ვიდრე სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული მოცულობაა. მასთანავე, ორივე სტუდენტმა აბსოლუტურად ზუსტად და მკაფიოდ უნდა აჩვენოს თავიანთი კონტრიბუცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. ეს იყო დაწესებულების მოტივაცია თუ რატომ მისცეა ორ სტუდენტს ერთობლივად სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესაძლებლობა. ექსპერტები აპელირებენ, რომ ეს არის ინდივიდუალური შრომა გაწეული სტუდენტის მიერ, თქვა რომ ინდივიდუალური შრომის ფაქტორი. მიუხედავად ამისა, სტუდენტი ახორციელებს ინდივიდუალურ უნიკლურ ძალისხმვას, როდესაც რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე წერს სამაგისტრო ნაშრომს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ თქვა, რომ კანონი ამას ცალსახად განსაზღვრავს. რაზეც უპასუხა რომ კანონი არ არის ხისტი დოკუმენტი მისი ინტერპრეტირება შეიძლება, სასამართლო იმიტომ არსებობს რომ განმარტოს იგი, მათაც შეუძლიათ შეხედონ კანონს შემოქმედებითად და კანონის ესა თუ ის მუხლი ინტერპრეტაციას ექვემდებარება ამიტომ შესაძლოა მისთვის სხვა პერსპექტივით შეხედვა. ამ შემთხვევაში ამ პერსპექტივით შეხედეს კანონს, თუ ხისტად შეხედავენ შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დაასზუსტა, სამაგისტრო ნაშრომის თავსართ ფურცელზე წერია ორი სტუდენტის სახელი და გვარი, რაზეც თანხმობა მიიღო. აქვე დაამატა დაწესებულების წამომადგენელმა, რომ მინიმუმ 1/3-ით მეტია მოცულობა სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტთან შედარებით და მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული სტუდენტის კონტრიბუციის ჩვენება და პრეზენტირება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დააზუსტა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა პრობლემას არ წარმოადგნენდა ტექნიკურად რეკომენდაციის გათვალისწინება, თუ ტექნიკურად შესაძლებელია ორმა სტუდენტმა ჩაატაროს კვლევა, მაგრამ თეორიული დაშენება გააკეთოს ცალ-ცალკე. დასვა კითხა რატომ გადაწყდა მაინც ერთობლიობა ყოფილიყო.

დაწესებულების წამომადგენელმა თქვა, რომ ეს არის ორი სტუდენტის მიერ შესრულებული ორი თემა, ერთ პრობლემაზე ჩატარებული კვლევაა. ეს არის ურთიერთშემავსებელი ძალისხმევა ორი სტუდენტის რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ თქვა რომ იბადება კითხვა თუ როგორ ახდენენ ორი სუბიექტის შეფასებების გამიჯვნას, როგორია მათი ხვედრითი წილი ჩართულობის, სად არის ზღვარი რომელიც იძლევა შესაძლებლობას მაქსიმალურად ობიექტურად იქნეს შეფასებული ნაშრომი.

რაზეც უპასუხა, რომ ეს ყველაზე კარგად ჩანს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში. საჯარო დაცვის აუცილებელი კომპონენტი რომელსაც შეფასების თავისი წილი აქვს არის პრეზენაცია, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ორივე სტუდენტის თანაბარი მონაწილეობა და წვლილი. აქვე დაამატა, რომ სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის დასკვნასაც ითვალისწინებენ. ხელმძღვანელს კი შეუძლია კვალიფიციური აზრი მიაწოდოს თუ რამდენად თანაბარი ძალისხმევა გასწიეს სტუდენტებმა.

სხდომის თავმჯდმარემ, ნათია ზედგენიძემ დააზუსტა არის თუ არა კვლევის მაშტაბებზე დამოკიდებული. რაზეც დაწესებულების წამომადგენლისგან თანხმობა მიიღო, აქვე დაამატა, რომ როდესაც ლაპარაკია რაოდენობრივ კვლევაზე აქ არის მასობრივი გამოკითხვა, რომელიც რეპრეზენტატურის შერჩევის დროს ტარდება და რომელიც ცხადია არ მოიცავს არარეპრეზენტატურ შერჩევებს. რაც არის ძალიან შრომატევადი.

სხდომის თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძემ, დასვა კითხვა თუ ეს შრომატევადია, რამდენად შესაბამისია იგი სწავლების საფეხურთან.

რაზეც უპაუხა, რომ შრომატევადია, მაგრამ აბსოლუტურად შესაბამისია სამაგისტრო სწავლის დონის. ისაუბრა ასევე მე-10 რეკომენდაციაზე თქვა, რომ იგი ნაწილობრივ გაითვალისწინეს. იმ შემთხევეაში როდესაც 10 ქულიანი შეფასების დიაპაზონი შეამცირეს 3 ქულამდე, მაგრამ ექსპერტები ითხოვდნენ ასევე 5 ქულიანი დიაპაზონის შემცირებას, რასაც პრინციპულად არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელი. თქვა რომ 5 ქულიანი დიაპაზონი აბსოლუტურად ადეკვატურია გაარჩიო ერთმანეთისგან განსხვავებული შეფასებები და თანაც იყოს საკმარისად მოქნილი იმისთვის რომ შეფასებები იყოს ადეკვატური.დაწესებულების წარმომადგენელი, რევაზ ჯორბენაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ისაუბრა პირველ რეკომენდაციაზე კერძოდ, სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები. თქვა რომ ტექნიკურად ვერ მოხდა დროულად მიწოდება, მაგრამ არის განსაზღვრული როგორ მიმდინარეობს შეფასება და მონიტორინტი, რაც ყოველწლიური ციკლია. უნივერსიტეტში მიღებულია დაგემვის შემუშავების და შეფასების წესი. ერთია დადარება, რომ ხდება სამიზნე ნიშნულების, რაც მოცემულია სქემებში ასევე არაპირადაპირ მეთოდებსაც იყენებენ როგორიცა მაგალითად, სტუდენტების გამოკითხვა. 2019 წლის 22 ივლისი N100 დადგენილება მოცემული ჰქონდათ პროგრამაში. შემუშვებული დოკუმეტი რევაზ ჯორბენაძემ ეკრანზე გააზიარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ დაამატა, რომ უნივერსიტეტში არის სწავლის შეფასების გაიდლაინები, რომლებიც გამოაზავნეს მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ

რადგანაც სემესტრი არ იყო დამთავრებული როდესაც პროგრამა წარადგინეს ბუნებრივია ვერ იქნებოდა სამიზნე ნიშნულების იმ სემესტრის მონაცმები შევსებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ ჯორბენაძემ, დაამაატა, რომ ყველაფერი შესრულებულია სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დააზუსტა სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შეფასების შემთხვევაში რეაგირების მექანიზმები.
რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, იმ შემთხევაში თუ სტუდენტი ვერ მიაღწევს სამიზნე ნიშნულს ამ შემთხვევეაში ფაკულტეტის ხარისხის სამსახური უკავშირდება სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს და შემდეგ კომიტეტზე მსჯელობენ ამ საკითხებზე რაზეც ხდება მითითება და გამოთქვამენ თავის აზრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ დააზუსტა, ექსპერტების ვიზიტისას პირველი შემთხვევა იყო ახალი სტანდარტების მიხედვით სამიზნე ნიშნულების დადგენა და მომზადება. შემდეგ ამ ახალი რუკების მიხედვით დაიწყეს ყოველსემესტრულად შეფასება. ანგარიშის ცენტრში ჩაბარებისას ჯერ კიდევ არ იყო სემესტრი დასრულებული, სწორედ ამიტომ ვერ მოხდა ამ ახალი მონაცემების მიწოდება. აწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ თავს უფლება მისცეს წარედგინათ აღნიშნული დოკუმენტი საჯარო განხილვის დროს, ამასთან ექსპერტებსაც გადაუგზავნეს გაიდლაინები რომლებიც გულისხმობდა როგორც რეაგირების მექანიზმს და ასევე ზოგადად პროცედურულ აღწერას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დაუსვა კითხვა ექსპერტს, ინსტიტუციის გამოგზავნილი რეაგირების მექანიზმები რამდენად მისაღები იყო მათთვის და რატომ განსაზღვრეს, რომ არ იყო გათვალისწინებული რეკომენდაცია.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია და რაც ინსტიტუციამ გამოგზავნა, ექსპერტის მიერ აღქმული იყო უნივერსიტეტში არსებულ ზოგად მექანიზმად, თუ რა გზას უნდა გაყვეს პროგრამა. ღნიშნული დოკუმენტი არ იყო უშუალოდ სოციოლოგიის პროგრამისთვის განსაზღვრული. რეკომენდაციაში, ერთ-ერთი ექსპერტისთვის განმსაზღვრელი იყო უშუალოდ სოციოლოგიის პროგრამისთვის ყოფილიყო გაწერილი რომელიმე დოკუმენტში რეაგირების მექანიზმი.
ნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ თქვა, რომ პირველ ეტაპზე მიაწოდეს ზოგადი, მაგრამ საჯარო განხილვისთვის შეეცადნენ ფორმალურად გამზადებული ჰქონოდათ დოკუმენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:08 სთ
დასრულების დრო: 20:47 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა დასაფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის No65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალოს სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

საბჭო დახურულად გამოცხადდა - 20:48 ზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო წევრი
სხდომის თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია